



**თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი**

მედი ჯაყელი

„შეთანხმება, როგორც საარბიტრაჟო პროცესის განხილვის  
საფუძველი საქართველოში“

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი, ზურაბ ჭეჭელაშვილი

თბილისი 0156

საქართველო

2020წ

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მეგი ჯაყელის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: საარბიტრაჟო პროცედურის განხილვის საფუძველი საქართველოში და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ზურაბ ჭეჭელაშვილი

\_\_\_\_\_

რეცენზენტი:

\_\_\_\_\_

ავტორი:

ნაშრომი: „საარბიტრაჟო პროცედურის განხილვის საფუძველი საქართველოში“

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

## სარჩევი

გამოყენებული აბრივიატურები.....	4
შესავალი:.....	9
I თავი. არბიტრაჟის ისტორიული მიმოხილვა .....	12
II თავი. არბიტრაჟზე შეთანხმება .....	15
1. შეთანხმების სახეები.....	17
1.1 შეთანხმებს პრაქტიკული მაგალითები.....	20
2. ნების კომპონენტი.....	22
3. ინსტიტუციონალური და ad hoc არბიტრაჟი.....	23
4. შეთანხმება არასავალდებულო არბიტრაჟზე.....	27
5. საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ფორმა .....	27
6. საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ადგილი, ენა გამოსაყენებელი სამართალი .....	32
III თავი. საარბიტრაჟო შეთანხმების სუბიექტები .....	35
1. ფიზიკური, იურიდიული და მესამე პირები.....	35
2. წარმომადგენლობა.....	37
3. არბიტრები.....	39
IV თავი. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა.....	43
1. „ერთი შეხედვის“ სტანდარტი .....	44
2. არსებითი შემოწმება .....	45
2.1 შეთანხმების ნამდვილად არსებობა .....	45
2.2 დავის საგნის მიმართება არბიტრაჟთან .....	45
2.3 შეთანხმების ფორმის დაცვა.....	46
2.4 შეთანხმებაში მითითებული დავის ფარგლები .....	47
2.5 ბათილობა, ძალადაკარგულობა და შესრულების შეუძლებლობა .....	54
V თავი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება .....	56
დასკვნა: .....	58
ბიბლიოგრაფია: .....	60

## გამოყენებული აბრევიატურები

იხ.-იხილეთ

ელ.-ელექტრონული

შპს-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ს.ს-სააქციო საზოგადოება

მაგ.-მაგალითად

ააიპ-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

UNCITRAL-United Nations Commission on International Trade Law, გაერთიანებული ერების კომისია საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ

Drc-despute resolution center დავების განმხილველი ცენტრი

Giac-Georgian international arbitration center საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

## რეზიუმე

არბიტრაჟი მიეკუთვნება იმ ინსტიტუტებიდან ერთ-ერთს, რომელიც ქვეყანაში სწრაფად განვითარება-დახვეწის გზას ადგას, არბიტრაჟის განვითარება ხელს უწყობს საიმედო პლატფორმის არსებობას, რომელიც მიმზიდველია განსაკუთრებით ინვესტორებისთვის, როგორც ჩვენთვის ცნობილია არბიტრაჟის საჭიროებას ხედავს განსაკუთრებით ბიზნესს სექტორი, ვინაიდან რადგანაც განსაკუთრებულად ბიზნესისათვის ხშირ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დავის სწრაფი გადაწყვეტა, რათა ბიზნესის ფუნქციონირებას ხელი არ შეეშალოს, სწორედ აღნიშნული საჭიროებებიდან გამომდინარე განავითარა ამერიკამ, ევროპამ არბიტრაჟი და ეტაპები გავლის შემდეგ დღეს უკვე ჩამოყალიბდა, როგორც დავების მოგვარების სანდო, სწრაფი, ეფექტური საშუალება.

სწორედ ჩემს მიერ არჩეული თემა „შეთანხმება, როგორც არბიტრაჟის განხილვის საფუძველი“ არის ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის უგულებელყოფაც წარმოუდგენელია არბიტრაჟის არსებობის გზაზე, ვინაიდან რადგანაც სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმება არის პროცესის დაწყების მთავარი საფუძველი, შეთანხმებაში მნიშვნელოვანია არსებობდეს ორმხრივი გამოვლენილი სურვილი მასზე, რომ მხარეებს სურთ დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალების არბიტრაჟის გამოყენება დავის არსებობის შემთხვევაში. მოცემულ ნაშრომში განხილულია: არბიტრაჟის ევოლუცია საქართველოში, კანონმდებლობის ეტაპობრივი დახვეწა და ცვლილებები რომლებიც კანონმდებლობაში დღეის მდგომარეობის ჩათვლითაა განხორციელებული, შეთანხმების სახეები და მთავარი რეკვიზიტები როგორებიცაა: საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ადგილი, ენა, გამოსაყენებელი სამართალი, განხილულია ინსტიტუციონალური და ad hoc არბიტრაჟი, მოყვანილია შეთანხმების მაგალითები პრაქტიკიდან როგორიცაა DRC და GIAC საარბიტრაჟო დაწესებულებების მიერ შემუშავებული შეთანხმების რეკომენდირებული დათქმები, განხილულია შეთანხმებაში ნების კომპონენტი და მისი მნიშვნელობა, აგრეთვე სუბიექტები არბიტრაჟში: ფიზიკური პირები, იურიდიული პირები, მესამე პირები, წარმომადგენლობა, არბიტრები, აგრეთვე განხილულია საკითხები, როგორიცაა-არასავალდებულო არბიტრაჟი და ჩემი თვალით დანახული მისი არაპრაქტიკული დანიშნულება, ნაშრომში გასაკუთრებული ყურადღება გავამახვილე სასამართლოს მიერ შეთანხმების არსებით განხილვაზე, მოყვანილია როგორც „ერთი შეხედვის სტანდარტი“ აგრეთვე არსებითი განხილვა, სწორედ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაეცნობით ჩემს მოსაზრებებს თუ რატომ არ ვუჭერ მხარს, მხარეების მიერ არბიტრაჟზე შეთანხმების სასამართლოს მიერ არსებითად განხილვას მხარის შუამდგომლობის გარეშეც კი, სწორედ ჩემს მიერ მოყვანილი არგუმენტები განამტკიცებენ იმ აზრს რომ სასამართლოს მიდგომა არბიტრაჟზე შეთანხმების სასამართლოს მიერ არსებითად განხილვის კუთხით

შესაცვლეელია და გასათვალისწინებელი სხვა ქვეყნების მაგალითები, რომლებმაც უკვე გაიარეს იგივე გზა და რომელსაც ახლა ქართული არბიტრაჟი გადის, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაშრომში რეგულაციას, რომელიც ფიზიკური და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ვრცელდება, ელექტრონული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის კუთხით როდესაც საქმე ეხება საარბიტრაჟო შეთანხმებას და აქვე მოყვანილი მაქვს არგუმენტები თუ რაზე დაყრდობითაა შესაძლებელი ცვლილების განხორციელება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოცემულ საკითხს, რადგან დღევანდელ დღეს სწორედ საქართველოში არსებული პანდემიის covid-19 არსებობის პირობებში, არბიტრაჟის ელექტრონული საქმიანობის განხორციელებას ხელი არ უნდა შეეშალოს შესაბამისად ფიზიკური პირები და ადმინისტრაციული ორგანოები არ უნდა მოექცნენ იმგვარი რეგულაციის ქვეშ, რომელი რეგულაციაც ვთლვლი რომ თავდაპირველ მიზანს მხარეების განსაკუთრებულ დაცვას აღარ ემსახურება, თუ რა ცვლილებები განხორციელდა ამ კუთხით და რა მამლევს აღნიშნულის თქმის საშუალებას განხილულია ნაშრომში, აგრეთვე ყურადღება არის გამახვილებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებზე რომლებიც როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად რჩება, ვინაიდან რადგანაც ხშირია შემთხვევები როდესაც დავა რომელიც წარმოშობილია მხარეებს შორის ცდება მათ მიერ შეთანხმებაში გაწერილ დავებს, თვალსაჩინოებისთვის მოყვანილია ორი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან უკეთ აღსაქმელი ყოფილიყო ბუნდოვანი ფარგლების შედეგები და მათზე ყურადღების გამახვილების მნიშვნელობა. სწორედ ზემოაღნიშნული თემები წარმოადგენს ნაშრომში დომინანტურ საკითხებს და პრაქტიკა ამას ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია მიდგომების დახვეწა და განვითარება და სწორედ არჩეულ თემაში მნიშვნელოვნად ჩავთვალე მიმოხილვა გამეკეთებინა არა მხოლოდ „რა არის“? არამედ „რა უნდა იყოს“. ვთვლი რომ ნაშრომში აქცენტები დასმულია იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც ცვლილებას საჭიროებენ და რომლებიც მნიშვნელოვანია არბიტრაჟის ფუნქციონირებისთვის.

## Resume

Arbitration belongs to one of the institutions that is developing rapidly in the country, the development of arbitration contributes to the existence of a reliable platform, which is especially attractive for investors, as we know the need for arbitration is seen, especially in the business sector, Since the rapid resolution of disputes is vital to business, so that it does not interfere with the functioning of the business, it is because of these needs that the United States and Europe have developed arbitration and today, as a reliable, fast, effective way to resolve disputes. It is my chosen topic, "Agreement as the Basis for Arbitration", that is an important issue that cannot be ignored on the way to the existence of arbitration, because the arbitration agreement is the main basis for starting the process. In the agreement, it is important that there is a mutual desire that the parties wish to use arbitration as an alternative to the dispute in the event of a dispute. The following paper discusses: The evolution of arbitration in Georgia, the gradual refinement of legislation and the changes that have taken place in the legislation, including the current situation, the types of agreements and the main requisites such as: Place of concluding the arbitration agreement, language, applicable law, institutional and ad hoc arbitration, Examples of agreements from practice such as the DRC and GIAC Arbitration Agreement Recommendations are discussed in the agreement are shown, as well as the will component and its importance in the agreement, as well as the subjects in the arbitration: Individuals, legal entities, third parties, representations, arbitrators, as well as issues such as non-compulsory arbitration and its impractical purpose as seen through my eyes are discussed. In this paper, I have focused on the substantive consideration of the agreement by the court. The following is a standard "single view" as well as an essential discussion. In this regard, I would like to share my views on why I do not support the substantive consideration of the parties to the arbitration agreement by the court, even without the motion of the party. It is my arguments that reinforce the view that the Court's approach to arbitration is subject to substantive consideration by the Court of Arbitration, and that the examples of other countries that have already gone through the same course and are now undergoing Georgian arbitration, Also, special attention is paid to the regulation in the paper, which applies to physical and administrative bodies. In terms of the possibility of using electronic means when it comes to arbitration agreements and I have argued that it is possible to make changes, special attention is paid to this issue, because the current state of the pandemic covid-19 in Georgia should not interfere with the implementation of electronic arbitration, individuals and administrative bodies should not be subject to such regulation as any regulation which I believe is no longer intended

to serve the special protection of the parties. What changes have been made in this regard and what allows me to say this, is discussed in the paper, as well as the scope of the arbitration agreement, which as far as I know remains one of the problematic issues, as there are frequent disputes between the parties. For the sake of clarity, two Supreme Court rulings have been issued to better understand the consequences of the vague scope and the importance of focusing on them. The above-mentioned topics are the dominant issues in the paper, and practice shows that it is important to refine and develop approaches, and it was in this topic that I considered it important to review not only "what is"? But "what should be." I believe that the paper focuses on the problematic issues that need to be changed and that are important for the functioning of arbitration.



## შესავალი:

არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, არბიტრაჟი არის „დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლითაც მხარეები უარს ამბობენ ეროვნული სასამართლოს იურისდიქციაზე და სანაცვლოდ თანხმდებიან, საბოლოო გადაწყვეტის მიზნით დავა გადასცენ საარბიტრაჟო ტრიბუნალს.“<sup>1</sup>

თანამედროვე კომერციული ურთიერთობების ტემპის გათვალისწინებით, შეიქმნა შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეებს შორის დავის გადაჭრის სამართლებრივ შესაძლებლობებს.

არბიტრაჟი და დავის გადაჭრის სხვა ალტერნატიული საშუალებები, მესახება როგორც ცხოვრების გაუმჯობესება, სტრესული ფაქტორების მინიმალიზაციის ხარჯზე, სწორედ სიმარტივე, კომფორტულობა, საიმედოობა და ეფექტურობა-ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მიიღწევა დავის არსებობის შემთხვევაში, არბიტრაჟისათვის მიმართვის გზით.

რატომ არბიტრაჟი?

„თუ ხედავთ რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია,

არ შეცვალოთ მიზანი, შეცვალეთ მოქმედება“

კონფუცი

დღევანდელ რეალობაში, სასამართლოში საქმეთა რაოდენობის და არსებული რესურსების თანაფარდობა ცხადყოფს, რომ ხშირად ვერ ვიღებთ სწრაფ გადაწყვეტილებას, სწორედ არბიტრაჟი არის საშუალება ერთი მოქმედების შეცვლით, მიღწეულ იქნას დასახული მიზანი. არბიტრაჟის არჩევით, თავიდანაა აცილებული გაჭიანურებული და ხანგრძლივი პროცესები სასამართლოში, როგორც იტყვიან „დრო ფულია“<sup>2</sup> შესაბამისად, არბიტრაჟის მეშვეობით შესაძლებელია მინიმალური დანაკარგებით და მაქსიმალური კომფორტით მიღებულ იქნას გადაწყვეტილება.

**საკითხის აქტუალობა**-საკითხი აქტუალურია, რადგან განსაკუთრებით ბიზნესს სექტორი კერძო არბიტრაჟის აუცილებლობას ხედავს, სასამართლოში საქმეების გადატვირთულობიდან გამომდინარე ხშირად ვერ დგება სწრაფი და მარტივი შედეგი, არბიტრაჟის მეშვეობით, შემცირდება სასამართლოსადმი მიმართვიანობა ბიზნესს დავებთან დაკავშირებით,რაც არბიტრაჟსაც უფრო

<sup>1</sup> ინჯია, ბექა და ნათია ლაპიაშვილი. არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი.(საქართველო:ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016), იხ.[http://www.library.court.ge/upload/glossary-final\\_23012017.pdf](http://www.library.court.ge/upload/glossary-final_23012017.pdf)

<sup>2</sup> ბენჟამინ ფრანკლინი.

ეფექტიანს გახდის, ბიზნესს დავების გადაწყვეტას კი გაამარტივებს. აღნიშნული საკითხი აქტუალურია ვინაიდან რადგანაც არბიტრაჟს, საქართველოში არ გააჩნია მრავალწლიანი ისტორია, შესაბამისად გაკვირვებას არ იწვევს ის საკითხი, რომ ნაწილი საზოგადოებისა უნდობლობითაა განსჭვალული არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი და საჭიროა შესაბამისად სანდოობის ხარისხის ამაღლება. სწორედ არბიტრაჟზე შეთანხმებისთვის და მისი ნამდვილობისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ფორმალური რეკვიზიტების დაცვა, აგრეთვე ცნობადობის ამაღლება, ნების გამოვლენის სიზუსტე.

სახელმწიფო დემოკრატიული მაჩვენებლებით ფასობს, შესაბამისად დემოკრატიის ხარისხის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლების სამ შტოდ დანაწილება, როგორცაა საკანონმებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოები, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ დანაწილების მთავარი იდეა სწორედ ისაა რომ ძალაუფლება არ იყოს მოქცეული მხოლოდ ერთი ინსტიტუტის ქვეშ და რომ მათ ერთმანეთის კონტროლის მექანიზმები გააჩნდეთ, სწორედ არბიტრაჟის აქტუალურობა გამომინარეობს დღევანდელი რეალობიდან, ვთვლი რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სხვადასხვა ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბალანსის დაცვას, სწორედ არბიტრაჟი და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებები, შესაძლებლობას იძლევიან საქმეები რომლებიც სპეციფიკურ დარგის ცოდნას მოითხოვს, გადაწყვეტილ იქნას ობიექტურად და შესაბამისი სპეციფიური ცოდნით აღჭურვილი კადრის მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა საკითხის აქტუალურობა გამომდინარეობს საერთაშორისო პროცესების ტემპის მიმდინარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ევროპული სტანტარტების ჰარმონიზაცია ქვეყანაში.

2020 წლის რეალობაა, რომ ქვეყანა დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა covid-19 ვირუსისგან გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად, სწორე მოცემულ თემაში განხილული გვექნება ელექტრონული დოკუმენტების და ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების შესაძლებლობაზე.

**დასახული მიზანი-**მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს არბიტრაჟის როლის განსაზღვრას სახელმწიფოსათვის, საარბიტრაჟო პროცედურის წარმოების სიმარტივის, მოქნილობის და კომფორტულობის ხაზგასმას . აგრეთვე განხილულ იქნება საკუთარი თვალთ დანახული, არასავალდებულო არბიტრაჟის არაპრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც დროის და ენერჯის ფუჭი ხარჯვა. ასევე არბიტრაჟის წარმოების თითოეული ეტაპი განხილულ იქნება როგორც მხარეთა საჭიროებებზე მორგებული პროცესი.

2020 წლის რეალობაა, რომ ქვეყანა დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა covid-19 ვირუსისგან გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად, სწორე მოცემულ თემაში განხილული გვექნება ელექტრონული დოკუმენტების და ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების შესაძლებლობაზე, რაც თავის მხრივ სიახლეზე მიუთითებს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საარბიტრაჟო შეთანხმების

ფარგლების დადგენას და შესაბამისად დავაფიქსირებ საკუთარ პოზიციას მოცემული რეალობიდან გამომდინარე. ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული შეთანხმების ნამდვილობის საკითხი, რომლესაც პრაქტიკიდან გამომდინარე სასამართლოები არსებითად განიხილავენ, შესაბამისად შეთავაზებული იქნება მოცემული საკითხის სხვაგვარი მოწესრიგება სასამართლოების მხრიდან, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკას დაეყრნობა და რომელიც გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს ქართული სასამართლოებისთვის.

**გამოყენებული კვლევის მეთოდები**-სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია: შედარებით-სამართლებრივი კვლევის, მიკრო დონე, აგრეთვე გამოყენებულია ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, გამოყენებულია სოციალურ-სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგია, გამოყენებულია როგორც ლოგიკური ასევე ანალიტიკური მეთოდი, აგრეთვე ნაშრომში გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკა.

## I თავი. არბიტრაჟის ისტორიული მიმოხილვა

პირველი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი თარიღდება 1997 წლით. აღნიშნული კანონი ხსნიდა ახალ შესაძლებლობებს დავების მოგვარების სფეროში. მოცემული კანონი არეგულირებდა შემდეგ საკითხებს: „1. საარბიტრაჟო შეთანხმება; 2. არბიტრაჟის შემადგენლობა, მათი უფლებები, არბიტრების დანიშვნისა და განთავისუფლების წესი; 3. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურული საკითხები, როგორებიცაა სარჩელი, განხილვის ადგილი, შეტყობინება, მოწმეთა დაკითხვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მოთხოვნები და სხვა“<sup>3</sup> დროთა განმავლობაში აღნიშნულმა კანონმა მოდიფიცირება განიცადა, ვინაიდან რადგანაც 1997 წლის კანონში გარკვეული უზუსტობები და ხარვეზები შეინიშნებოდა. 1997 წლის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის თანახმად, მულტიმომქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებები მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი წესით უნდა ჩამოყალიბებულიყო,<sup>4</sup> შესაბამისად ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმა დღესაც ააიპ-ის ნაცვლად ხშირად გვხვდება შპს. მოცემული კანონის მიხედვით მხარეებს მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ჰქონდათ შესაძლებლობა გაესაჩივრებინათ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მაგალითად თუ ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ან სისხლის სამართლის ნორმებს, გარდა ამ შემთხვევებისა თუ დარღვეული იყო მხარეთა შეთანხმება. აღსანიშნავია რომ აღნიშნული კანონი ხარვეზების გამო მოდიფიცირებას საჭიროებდა, სწორედ 2009 წელს ძალაში შევიდა ახალი „არბიტრაჟის შესახებ“ საართველოს კანონი, რომელიც UNCITRAL-ის მოდელურ კანონს ეფუძნებოდა, შესაბამისად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ

---

<sup>3</sup> ფიცხელაური, ნიკოლოზი. 2015. „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი. გვ.50

<sup>4</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997), მუხლი 7.1, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>.

მოცემული კანონში საერთაშორისო სტანდარტები დაცულია. მოცემული კანონი არეგულირებდა შემდეგ საკითხებს: 1. საარბიტრაჟო შეთანხმება და მისი ფორმები 2. არბიტრაჟის შემადგენლობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი და პროცედურა 3. არბიტრაჟის უფლებამოსილება, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პირობები და მისი აღსრულება სასამართლოს მიერ 4. საარბიტრაჟო განხილვასა და პროცესთან დაკავშირებული საკითხები 5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებასთან, გაუქმებასთან და მის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>5</sup>

ჩვენთვის ცნობილია რომ 1997 წლის კანონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხარვეზი რაც საზოგადოებას უსამართლობის განცდას უტოვებდა იყო ის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხდებოდა, არბიტრაჟის თავჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით,<sup>6</sup> სწორედ 2009 წელს მიღებულ კანონში სხვა სიკეთეებთან ერთად ფუნდამენტური ცვლილება სწორედ მოცემული ნორმის შეცვლით გამოიხატა, კერძოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება 2009 წლის კანონით, დაექვემდებარა სასამართლოებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანი ცვლილება რომელიც კანონმა განიცადა ეხებოდა ე.წ Ad Hoc არბიტრაჟის დამკვიდრებას, რომელსაც მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ და აგრეთვე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც არბიტრაჟის პოპულარიზაციას საზოგადოებაში ხელს უშლიდა იყო ბაჟის ტარიფი, კერძოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისთვის განისაზღვა იმავე ოდენობის ბაჟი რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში სარჩელის სასამართლოში

---

<sup>5</sup> ფიცხელაური, ნიკოლოზი. 2015. ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი, გვ.51

<sup>6</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძოდ არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997), მუხლი 42, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>.

შეტანისთვის<sup>7</sup> იყო საჭირო. რა თქმა უნდა აღნიშნული დიდ ბარიერს წარმოადგენდა მოსახლეობისთვის რადგან მათ იმაზე მეტი უჯდებოდათ არბიტრაჟში პროცესი ვიდრე ეს სასამართლოში იქნებოდა, თან თუ გავისთვალისწინებთ იმ დროინდელ სანდოობას არბიტრაჟისადმი და სანდოობას სასამართლოსადმი, მარტივად შესამჩნევია რომ საზოგადოება მიმართავდა ისევ დავის განხილვის სასამართლო გზას. 2015 წელს შევიდა ცვლილებები ამ კუთხით და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცბობა-აღსრულებისთვის ბაჟის ოდენობა განისაზღვრა 150 ლარით.

არბიტრაჟის წარსული ცხადყოფს რომ რამოდენიმე წლის წინ არბიტრაჟი აღქმული იყო, როგორც „ბანკების არბიტრაჟი“<sup>8</sup> აღნიშნული აზრი გამომდინარეობდა იქიდან, რომ ბანკები გახდნენ ე.წ არბიტრაჟის კლიენტები, ყოველი დავა, რომელიც მათ ჰქონდათ მომხმარებელთან, სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე, განსახილვევლად გადაეცემოდა არბიტრაჟს, რა თქმა უნდა ეს ფაქტი უნდობლობას იწვევდა მომხმარებელში. მაიკლ ბლეჩმენის შეფასება რომელიც ეხება არბიტრაჟს საქართველოში, აღნიშნულია ერთ-ერთი ყველაზე დიდი საარბიტრაჟო დაწესებულების ანგარიში, კერძოდ 2010-2011 წლებში ჩატარებული პროცესების 90% ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა ბანკი ან სხვა საფინანსო კომპანიები, აღნიშნულმა ბანკებმა საქმეების 100% მოიგებს არბიტრაჟში 2010-2011 წლებში.<sup>9</sup> მოცემული კვლევა ცხადყოფს თუ საიდან იღებს არბიტრაჟისადმი უნდობლობა სათავეს, თუმცა დროთა განმავლობაში არბიტრაჟი იკავებს შესაფერისს ადგილს და ცნობადობა ,სანდოობა მისდამი იმატებს.

---

<sup>7</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), მუხლი 39, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

<sup>8</sup> ტყემალაძე, სოფიო, მარიამ კობალაძე და სხვები. არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, (საქართველო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი 2018), გვ.5

<sup>9</sup> Blechman M. D., 2011, Assessment of ADR in Georgia, East West Management Institute, pg.4 <http://www.ewmi-jilep.org/images/stories/books/assessment-of-adr-in-georgia.pdf>

## II თავი. არბიტრაჟზე შეთანხმება

საარბიტრაჟო პროცესის განხილვის უმნიშვნელოვანესი საფუძველია შეთანხმება. შეთანხმება თავისი ბუნებით რა თქმა უნდა ნებაყოფლობითი ხასიათისაა, არბიტრაჟზე შეთანხმება შეიძლება დაიდოს როგორც დავის არსებობამდე ასევე დავის წარმოშობის შემდეგაც, შეთანხმების არ არსებობა თავისთავად გამორიცხავს მხარეების შესაძლებლობას დავა გადასცენ განსახილველად არბიტრაჟს.

მხარეებმა არბიტრაჟზე შეთანხმებისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი შემთხვევები: 1) „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა. 2) დამაბრკოლებელი გარემოებები, რამაც შეთანხმების აღსრულებას შეიძლება შეუშალოს ხელი. 3) კონკრეტული და გააზრებული ნების გამოხატვა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ყოველგვარ ღონეს ხმარობს მხარეების ნამდვილი ნების გამოსარკვევად.<sup>10</sup>

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად:

„ საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით“.<sup>11</sup>

<sup>10</sup> ანდლულაძე, ქეთევანი, 2013, საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა, სასემინარო ნაშრომი, გვ.20, ციტირებულია: A. Redfern and M. Hunter, 1999, გვ. 172, para 3-64.

<sup>11</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი-8, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

მხარეთა სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლითაც მხარეები ირჩევენ საპროცესო ურთიერთობის ფორმას.<sup>12</sup> საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, სრულად ვრცელდება სამოქალაქო სამართლის ნორმები, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 319-ე<sup>13</sup> მუხლის გათვალისწინებით კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულებები და შესაბამისად განსაზღვრონ შინაარსი.<sup>14</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ცხადყოფს რომ არბიტრაჟში პირთა თანასწორობა და მათი დამოუკიდებლობა არის უმნიშვნელოვანესი, შესაბამისად თავისუფლება, რომელიც მიანიჭა კანონმდებელმა მხარეებს არ შეიძლება დარღვეულ იქნეს. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც შეთანხმებას ისე დებს ფიზიკური პირი, რომ წარმოდგენას მოკლებულია თუ რაზე აწერს ხელს. ასეთ შეთანხმებებს ადგილი აქვს განსაკუთრებით საფინანსო, საბანკო სექტორთან მიმართებაში, ვინაიდან რადგანაც ბანკი „კლიენტთან“ გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებაში აკეთებს დათქმას, დავის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების არბიტრაჟისადმი დაქვემდებარებაზე, სწორი იქნება იმ მკითხველის არგუმენტი, რომელიც იტყვის რომ კონტრაქტს აქვს ვალდებულება ხელის მოწერამდე გაეცნოს ხელშეკრულების პირობებსა და დათქმებს და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ ხდება მთელი რიგი მიზეზების გამო, შესაბამისად ბანკებმაც აღნიშნული შეიძლება ბოროტად გამოიყენონ, ვინაიდან რადგანაც მათ კონტრაქტთან შედარებით დომინანტური პოზიციები უკავია, ამასთან ერთად გააჩნია ფინანსები, შესაბამისი ცოდნა ამიტომ ძალიან მაღალი დონის სანდოობით, დამოუკიდებლობით და მიუკერძოებლობით უნდა ფუნქციონირებდეს არბიტრაჟი, რომ ზემოაღნიშნული დომინანტური მდგომარეობა ბანკებმა და ხვა

---

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 თებერვლის განჩინება,საქმე Nას-1528-1534-2011, გვ.8

<sup>13</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 26.06.1997), მუხლი-319 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

<sup>14</sup> თათბერიძე, გიორგი.საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი,(თბილისი - ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი 2017)



საფინანსო ინსტიტუტებმა ბოროტად არ გამოიყენონ. მნიშვნელოვანია ამგვარი სახის შეთანხმებებზე მეტად გამახვილდეს ყურადღება და შესაბამისად მეტად იყოს დაცული ხელშეკრულებაში „სუსტი“ მხარის უფლებები.

## 1. შეთანხმების სახეები

საარბიტრაჟო ხელშეკრულების სახეები პირობითად შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად ესენია: დათქმა და ცალკეული ხელშეკრულება, ამგვარი დაყოფა მხოლოდ შესაძლებლობის ალტერნატივებს წარმოადგენს, ხოლო შედეგი ორივეს შემთხვევაში ერთი და იგივე დგება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საარბიტრაჟო შეთანხმება-დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა მიუხედავად იმისა გაკეთებული იქნება ცალკეული ხელშეკრულების სახით თუ ძირითად ხელშეკრულებაში დათქმის მეშვეობით. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის საკითხი წყდება დამოუკიდებლად იმის ბათილია თუ არა გარიგება. აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმებაში შესაძლებელია იქნას გამოყენებული, ძირითადი ხელშეკრულებისგან განსხვავებული ნორმები.

მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია დადონ ხელშეკრულებაში დათქმის გაკეთებით, მაგალითად როგორცაა სესხის ხელშეკრულებაში მითითებული დათქმა არბიტრაჟზე, ნასყიდობის ხელშეკრულებაში უშუალოდ მითითებული დათქმა დავის არსებობისას არბიტრაჟის მიმართვასთან დაკავშირებით და სხვა. მხარეები თავისუფალნი არიან შეთანხმების ფორმებიდან აირჩიონ ერთერთი, შესაბამისად მათ დათქმის გარდა შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება, დამოუკიდებელი შეთანხმების ფორმით, იგულისხმება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგება, სადაც მხარეების ნება არის გამოხატული.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup>ცერცვაძე გ., 2008, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, გვ. 111

როდესაც საუბარია არბიტრაჟზე შეთანხმებაზე, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დათქმაში თუ ცალკეულ ხელშეკრულებაში კონკრეტულად მიეთითოს თუ რომელი არბიტრაჟის მიერ უნდა იქნას განხილული დავა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატა განიხილავდა საქმეს რომელიც ეხებოდა, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას, 2011 წლის 30 სექტემბერს სააპელაციო პალატას განცხადებით მიმართა ი.ჩ ის წარმომადგენელმა ა.ვ-მ და მოითხოვა მოპასუხის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და აღნიშნა რომ მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მითითებული იყო ზოგადი ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ, სასამართლოს განმარტებით აღნიშნული გულისხმობდა იმას რომ მხარეები არ შეთანხმებულან არსებით პირობებზე, მხარეებს უნდა მიეთითებინათ კონკრეტული არბიტრაჟი, რათა დათქმა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით შეთანხმებად ჩათვლილიყო. შესაბამისად სასამართლომ არ განიხილა აღნიშნული სარჩელი და მიუთითა რომ მოსარჩელეს შეეძლო მიემართა განსჯადი სასამართლოსთვის. სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით იქნა გასაჩივრებული, საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კანონის შესაბამისად მოქმედება და შესაბამისად შეთანხმებაში კონკრეტულად მითითება იმ არბიტრაჟზე რომელიც განიხილავს დავის არსებობისას საქმეს.<sup>16</sup>

როდესაც მხარეები ირჩევენ დავის არსებობისას არბიტრაჟის გამოყენებას, მათ უნდა იცოდნენ, რომ არბიტრაჟზე შეთანხმებასთან ერთად სხვა დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებები ვერ გამოიყენება, შესაბამისად

---

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2012 წლის 27 თებერვლის განჩინება, Nას-1528-1534-2011

მხარეებს უნდა ჰქონდეთ მკაფიოდ გაგებული გარემოება, რომ დავის წარმოშობისას თუ არსებობს კანონიერი შეთანხმება არბიტრაჟზე, ამ შემთხვევაში შეთანხმება ვალიდურია და მათ აღარ ექნებათ ალტერნატიული საშუალებების გამოყენების საშუალება.

სწორედ გარდაბნის რაიონულ სასამართლოს, სარჩელით მიმართა მოსარჩელე ს.ს. „პ-ს“-მ, საქმე ეხებოდა მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრებას, საქმე ეხებოდა საკრედიტო ხელშეკრულებას და ვალდებულების შეუსრულებლობას, როგორც ირკვევა მხარეებს გაკეთებული აქვთ დათქმა დავის არსებობისას არბიტრაჟის გზით მის გადაწყვეტაზე, სწორედ აღნიშნული საფუძვლით, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ განჩინებით უარი თქვა საქმის სასამართლო წესით განხილვაზე, განჩინება გასაჩივრებულ იქნა კერძო საჩივრით. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს თვითონ მხარეების მიერ დადებული შეთანხმება, სწორედ ხელშეკრულების მე-12 მუხლის თანახმად „მხარეები და სოლიდარული თავდებები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმებიდან, ასევე მხარეებს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან #ვ-715, გირავნობის #ვ-715, თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირობების/ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერი დავა, მათ შორის დავა ხელშეკრულების ბათილობასთან, შეწყვეტასთან და გაუქმებასთან დაკავშირებით განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საერთო სასამართლოს ან შპს „დ. გ. ც.-ს“, შემდგომში მუდმივმოქმედ (კერძო) არბიტრაჟს ან მის სამართალმემკვიდრეს, დავის განმხილველ დაწესებულებას ირჩევს მოსარჩელე“. როგორც ჩანაწერიდან ვხედავთ, მხარეებს გათვალისწინებული აქვთ ალტერნატიული შესაძლებლობები დავის არსებობის შემთხვევაში, რაც წინაარმდეგობაში მოდის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონთან, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეები შეთანხმებულნი არ იყვნენ არსებით პირობებზე, რადგან დავის გადაჭრის ორ საშუალებაზეა მითითება, შესაბამისად სააპელაციო

სასამართლომ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და გააუქმა გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინება.<sup>17</sup>

## 1.1 შეთანხმებს პრაქტიკული მაგალითები

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი- GIAC

სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმება

„მხარეებს, რომლებსაც სურთ მათი მომავალი დავა დაუქვემდებარონ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს, რეკომენდირებულია გამოიყენონ ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტული საარბიტრაჟო დათქმა. მხარეებმა უნდა შეიტანონ შესაბამისი შესწორებები:

..ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან დაკავშირებულია მასთან, მის დარღვევასთან, შეწყვეტასთან ან ბათილად ცნობასთან, უნდა გადაეცეს ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს, არბიტრაჟის გზით საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, ამ წესების შესაბამისად დანიშნული (ერთი)/(სამი) არბიტრის მიერ.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს (ქალაქი, ქვეყანა), საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს (მხარეთა მიერ არჩეული ენა) ენაზე.“<sup>18</sup>

<sup>17</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება, საქმე №228/3055-11

<sup>18</sup> Giac-საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი. <http://giac.ge/>

## DRC- მოდელური დათქმა

„ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ საარბიტრაჟო განხილვის ადგილია (ქვეყანა, ქალაქი ) (DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, 2 სართული, ოფისი 11. ვებ.გვერდი: [WWW.DRC.GE](http://WWW.DRC.GE)“

თუ მხარეებს სურთ შეზღუდონ არბიტრაჟში გადასაცემი დავათა სპექტრი, შეიძლება შემდეგი საარბიტრაჟო დათქმის გამოყენება:

„გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ქვემოთ მოცემული პუნქტის შესაბამისად, სპეციალურად არის გამორიცხული არბიტრაჟში გადასაცემი დავების წრიდან, ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, (არჩეული საარბიტრაჟო წარმოების წესების) შესაბამისად განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს არბიტრაჟს

აღნიშნული პუნქტის შესაბამისად გამორიცხება შემდეგი საკითხების არბიტრაჟში გადაცემა:<sup>19</sup>

---

<sup>19</sup> DRC-დავების განმხილველი ცენტრი, <http://drc.ge/>

## 2. ნების კომპონენტი

ადამიანი თავისუფალი ნების მქონეა დაბადებიდან, რომელიც დამოუკიდებლად საკუთარი გრძნობა, გონებით უნდა წყვეტდეს ამა თუ იმ საკითხს. ნების კომპონენტი საარბიტრაჟო შეთანხმებაში უმნიშვნელოვანესს ადგილს იკავებს, შესაბამისად უნდა არსებობდეს ჩამოყალიბებული მიდგომა ნების ნამდვილობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო შეთანხმებაში, მხარეთა ნება მკაფიოდ უნდა იქნას გამოხატული.

შეთანხმებაში განსაზღვრული უნდა იყოს არბიტრაჟის კომპეტენცია, დავები რომლებიც არბიტრაჟის განსახილველია, ვინაიდან რადგანაც შეთანხმების შემდგომ მხარეებსთვის მავალდებულებელი ასპექტები იჩენს თავს, შესაბამისად მათ მიერ გამოხატული ნება უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და რეალურ სურვილებთან მიახლოებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ არბიტრაჟზე შეთანხმებით მხარეებს წარმოეშობათ ვალდებულებები, ამის ნათელი მაგალითს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, როგორც საქმის მასალიდან ირკვევა, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხისთვის თანხის დაკისრების მოთხოვნით, მოპასუხე უთითებს, რომ მას და მოსარჩელეს შორის შეთანხმებაა დავის არსებობის შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ ამ დავის განხილვის შესახებ, ყოველგვარი ნორმების დაცვით, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მიუთითა სარჩელში მითითებულ შეთანხმებაზე არბიტრაჟის შესახებ. სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ თუმცა სასამართლომ მასალების შესწავლის საფუძველზე არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი.<sup>20</sup>

ზემოაღნიშნული ცხადყოფს რომ არბიტრაჟზე შეთანხმებით, მხარეებმა იკისრეს გარკვეული ვალდებულებები და თავისითვე შეზღუდეს გარკვეული

---

<sup>20</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება, საქმე N28/4905-16

უფლებებიც, შესაბამისად მანამ სანამ მხარე უშუალოდ ნაბიჯს გადადგამს, მნიშვნელოვანია დარწმუნდეს თავის სურვილში თუ რამდენად შეესაბამება მისი სურვილი განსახორციელებელ მოქმედებას. ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები როდესაც მსესხებელი პირები გაუცნობიერებლად აღმოჩნდებიან არბიტრაჟში, ეს ის შემთხვევაა როდესაც პირი არ არის ინფორმირებული როდესაც ხელს აწერს სასესხო ხელშეკრულებას და მასშია მითითებული დათქმა დავის არსებობის შემთხვევაში არბიტრაჟის გამოყენებაზე. მოცემული სიტუაციები რეპუტაციას ლახავს და განვითარების საშუალებას არ აძლევს არბიტრაჟს, ხალხში კი უნდობლობის ხარისხი მატულობს.

შესაბამისად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული ჩანაწერები არბიტრაჟზე მნიშვნელოვანია სიტყვა-სიტყვით იქნას განმარტებული მხარეებისთვის, რათა სამომავლო სავალალო შედეგები მხარეს თავიდან ჰქონდეს აცილებული.

### **3. ინსტიტუციონალური და ad hoc არბიტრაჟი**

როგორც ჩვენთვის ცნობილია, არბიტრაჟის პროცედურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს შეთანხმება, სწორედ შეთანხმების მნიშვნელობას უსვამს ხაზს დეტალები, რომლებიც აღბეჭდილია შეთანხმებაში და რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს პროცესი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს მხარის მიერ გაკეთებული არჩევანი ინსტიტუციონალურ თუ ad hoc არბიტრაჟზე, განვიხილოთ თითოეული მათგანი .

არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ინსტიტუციონალური არბიტრაჟი არის: „ არბიტრაჟი, საარბიტრაჟო პროცესი, რომელიც წარიმართება საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებითა და საარბიტრაჟო წესებით“.<sup>21</sup>

---

<sup>21</sup> ინჯია, ბექა და ნათია ლაპიაშვილი. არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი.(საქართველო:ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016), იხ.[http://www.library.court.ge/upload/glossary-final\\_23012017.pdf](http://www.library.court.ge/upload/glossary-final_23012017.pdf)

ინსტიტუციონალურ არბიტრაჟს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მხარეები თანხმდებიან ამა თუ იმ დაწესებულებაზე, იგულისხმება თანხის გადახდის სანაცვლოდ დაწესებულება უზრუნველყოფს, დამოუკიდებელი, კომფორტული გარემოს შექმნას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მხარეები ინსტიტუციონალური არბიტრაჟის არჩევას თანხმდებიან არჩეული ორგანოს წესებზე. ინსტიტუციონალური არბიტრაჟზე თანხმობა გულისხმობს, საარბიტრაჟო დაწესებულება ხელს უწყობს წარიმართოს პროცესი, მოსმენილ იქნას მხარეები, შერჩეულ იქნას არბიტრები და სხვა პროცედურები, რომლებსაც სწორედ დაწესებულება უწევს ადმინისტრირებას. დღევანდელ დღეს საკუთარი დაკვირვებით, ვთვლი რომ პოპულარობით საზოგადოებაში სარგებლობს „giac“ და „drc“ არბიტრაჟები რომლებსაც შედგენილი აქვთ თავისი წესები. მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო დაწესებულება არ იღებს საქმეზე გადაწყვეტილებას, არამედ საარბიტრაჟო დაწესებულება ხელს უწყობს პროცედურებს, როგორცაა მაგალითად ტრიბუნალის ჩამოყალიბება, იმისათვის რომ შემდგომ არბიტრება მიიღონ ამა თუ იმ საქმეზე გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ad hoc არბიტრაჟს, არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად „ Ad hoc არბიტრაჟი (ლათ.: „ამისთვის“) არბიტრაჟი, რომლის ადმინისტრირებაც არ ხდება საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ. Ad hoc არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეებს თავად უწევთ არბიტრაჟის ყველა ასპექტის, მათ შორის: არბიტრთა რაოდენობის, მათი არჩევის/დანიშვნის წესის, გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების, არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრა. Ad hoc არბიტრაჟის არჩევის შემთხვევაში მხარეები, როგორც წესი, თანხმდებიან გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებულ საარბიტრაჟო წესებზე“.

Ad hoc არბიტრაჟს უფრო დიდი ისტორიის მატარებელია ვიდრე ინსტიტუციური არბიტრაჟი, სწორედ ძველ პერიოდში მოვაჭრეები მიმართავდნენ



ad hoc არბიტრაჟს. როგორც ჩვენთვის ცნობილია 1997 წელს არსებულ კანონი არბიტრაჟის შესახებ არ ცნობდა ad hoc არბიტრაჟს, ცვლილებები ამ კუთხით უკვე 2009 წლის კანონში შევიდა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კანონში არ იყო ცხადად და გარკვევით მითითებული ad hoc არბიტრაჟზე, 2009 წლიდან მოყოლებული პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ სასამართლოები თავის გადაწყვეტილებებში ცალსახად აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანი იყო დათქმაში მითითებულიყო საარბიტრაჟო დაწესებულება. მოცემული ნორმა არის პირველადი ვერსია კანონის 2.2 მუხლისა „ ამ კანონის მიზნებისათვის, მხარეთა შეთანხმება მოიცავს იმ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესებს, რომელსაც მხარეებმა მიმართეს საარბიტრაჟო დავის გადასაწყვეტად“. 2015 წლიდან ცვლილებები შევიდა კანონში და შემდეგნაირად მოწესრიგდა ad hoc არბიტრაჟის საკითხი „ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე. ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების იმ წესებს, რომლებზედაც მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებენ. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე.“

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებისა, ვფიქრობ მოცემული ჩანაწერის მოდიფიცირება და დახვეწაა საჭირო, იმგვარად რომ უშუალოდ იყოს მითითებული ad hoc არბიტრაჟი და შესაბამისადვე იყოს განმარტებული.

როდესაც განვიხილავთ საკითხს ad hoc არბიტრაჟზე, მთელი რიგი კითხვები არსებობს თუ როგორ შეიძლება მხარეებმა აირჩიონ ad hoc არბიტრაჟი, როგორ მოაწესრიგებენ სხვა და სხვა პროცედურულ საკითხებს, ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყვანოთ დათქმა „ „ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა მხარეებს შორის გადაწყდება არბიტრაჟის მეშვეობით. არბიტრაჟის ადგილი – თბილისი.“ სწორედ დათქმაში თბილისი მითითება უკვე ნათელს ხდის გარემოებას, რომ საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით მოხერხდება ამ ურთიერთობების დარეგულირება, დღევანდელი ვერსია არბიტრაჟის შესახებ

კანონი, პასუხობს თითოეულ გამოწვევას, რომელიც მხარეების მიერ ad hoc არბიტრაჟის არჩევის შემთხვევაში დგას“.

ინსტიტუციური და ad hoc არბიტრაჟის შედარებითი ანალიზი

Ad hoc არბიტრაჟი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთი კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილი არბიტრაჟი, რომელიც შესაძლებელია უფრო მოქნილიც იყოს, რადგან მხარეები შეიმუშავენ წესებს, მოსაზრებას რომელსაც დავაფიქსირებ, სუბიექტურია თუმცა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ვფიქრობ იმ შემთხვევაში თუ არბიტრაჟის პროცესის მონაწილე მხარე ვიქნებოდით, უპირატესობას ინსტიტუციონალურ არბიტრაჟს მივანიჭებდით, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით: ზოგადად არბიტრაჟის არჩევა, როგორც დავის განხილვის ალტერნატიულ შესაძლებლობას აპრიორად ვთვლი სასამართლოსთან შედარებით, რადგან არბიტრაჟი მესახება როგორც საიმედო, კომფორტული, მარტივი, მხარეებზე ორიენტირებული პროცედურა შესაბამისად ინსტიტუციონალური არბიტრაჟი თავისი წარსულიდან და არსებული საქმეებიდან გამომდინარე არის გამოცდილი, შესაბამისად გამოცდილი კადრებითაა დაკომპლექტებული დაწესებულებაც, მას გააჩნია პრესტიჟი რაც საჭიროა იმისათვის რომ სასამართლოში ცნობა-აღსრულების კუთხით დროში გაწელილი პროცედურა ავიცილოთ თავიდან, ინსტიტუციური არბიტრაჟის დროს უკვე გაწვდიან არსებულ ინფორმაციას, მეთოდებს და წესებს, მიყვები დაწესებულების დებულებას რომელიც აპრობირებულია და არ საჭიროებს ზედმეტ გამოკვევებს, ხოლო ad hoc არბიტრაჟს საქართველოში არ გააჩნია დიდი ისტორია, შესაბამისად მონაწილე მხარეს ესაჭიროება სპეციალური ცოდნა.

#### 4. შეთანხმება არასავალდებულო არბიტრაჟზე

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თანდათანობით შესაძლებელია დამკვიდრდეს ე.წ არასავალდებულო არბიტრაჟი, არასავალდებულო არბიტრაჟში იგულისხმება იმგვარი არბიტრაჟი, რომლის მიღებულ გადაწყვეტილებასაც სავალდებულო ხასიათი არ აქვს მხარეებისთვის, როგორც ამბობენ არასავალდებულო არბიტრაჟი მიზნად ისახავს მხარეების ერთ მაგიდაზე დასხდომას და ამა თუ იმ სადავო საკითხზე კონსესუსის მიღწევას, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ არასავალდებულო არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება მხარემ არ გაითვალისწინოს, მოცემულობიდან გამომდინარე ვთვლი რომ აღნიშნული ინსტიტუტი შეიცავს მედიაციის ელემენტებს, ამიტომ არასავალდებულო არბიტრაჟი მხარეებისთვის შესაძლებელია აღმოჩნდეს, დროის კარგვა, ზედმეტი ფინანსების გაწევა, მაშინ როდესაც მხარეებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ დავის გადაწყვეტის ისეთ მეთოდს რომელიც, მიზნად ისახავს დავის მორიგებით დამთავრებას.<sup>22</sup>

#### 5. საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ფორმა

საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ფორმას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ სწორედ მე-8 მუხლის 3 ნაწილით „ საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით“. წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს ცალკეული ხელშეკრულება ან გაკეთდეს დათქმა ხელშეკრულებაში. უნდა გამოვყოთ ცალკეული შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება ჩაითვლება წერილობითი ფორმით დადებულად ესენია:

1) სარჩელი-შესაგებლის ფორმით, იგულისხმება შემთხვევა, როდესაც პირმა სარჩელი აღძრა და მოპასუხემ შესაგებლით უპასუხა სარჩელს, სწორედ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარდგენა სადაც იგი არ მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების არ არსებობაზე და

<sup>22</sup>სტივენ.მ ოსტერმილერი და დილერ რ. სვენსორი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში,(თბილისი: მერიდიანი 2014), გვ.211

არსებითად პასუხობს სარჩელს, ამ შემთხვევაში იგულისხმება რომ სარჩელი მოიცავს წერილობით შეთანხმებას, რაზედაც მოპასუხე უარს არ აცხადებს.

2) შეთანხმება ელექტრონული საშუალებებით „ელექტრონული შეტყობინება – ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც მხარეები გადასცემენ საინფორმაციო შეტყობინების სახით. საინფორმაციო შეტყობინება არის ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია, გაგზავნილია, მიღებულია ან შენახულია ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებით, მათ შორის, მონაცემთა ელექტრონული გადაცემით, ელექტრონული ფოსტით, ტელეგრაფით, ტელექსით ან ტელეფაქსით“<sup>23</sup>. წერილობითი ფორმით დადებულ შეთანხმებად განიხილება, ელექტრონული საშუალებით გაკეთებული აქცეპტი არბიტრაჟზე და მიღებული ოფერტი. აღნიშნული უთანაბრდება წერილობითი ფორმით დადებულ შეთანხმებას.<sup>24</sup>

ხელშეკრულების ფორმა ფიზიკურ პირებთან და ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს ფიზიკური პირებისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, კერძოდ მათ შეთანხმება არბიტრაჟზე უნდა დადონ წერილობით, ისეთ დოკუმენტზე რომელიც ხელს მოაწერენ მხარეები. შესაბამისად ფიზიკური პირების და ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით, საარბიტრაჟო შეთანხმება დადებულად არ ითვლება თუ: ხელშეკრულება დადებულია ელ. საშუალებებით, ან დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით გარდა წერილობით დოკუმენტზე ხელმოწერისა, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება იდება სარჩელის შეტანით და მასზე შესაგებლით, და არ აქვს მნიშვნელობა მოპასუხე უარყოფს თუ შეთანხმება არბიტრაჟზე შეთანხმებას.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან დროთა სვლის შესაბამისად ცვლილებების განხორციელება, 2020 წლის რეალობიდან გამომდინარე

---

<sup>23</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი-2.1(ბ)

<sup>24</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გიორგი თათბერიძე, თბილისი 2017წ, „ბეჭდითი სიტყვის კომბინატი“

საქართველო გადავიდა გარკვეული პერიოდი დისტანციურ მუშაობაზე, რაც გამოწვეული იყო covid-19 ინფექციით, შესაბამისად ისევე როგორც სხვა დარგისთვის არბიტრაჟისთვისაც მნიშვნელოვანი იყო საქმეების უწყვეტობა, მიუხედავად ქვეყანაში არსებული პანდემიისა, როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს ფიზიკური პირების და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, კერძოთ მათ საარბიტრაჟო შეთანხმებისთვის უნდა გამოეყენებინათ წერილობითი ფორმით, მხარეების მიმართ ხელმოწერილი დოკუმენტი დაუშვებლად ცნო კანონმა ამგვარი ქმედების განხორციელება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მიმაჩნია რომ დრევეანდელ დღეს არსებული რეალობიდან, გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმაში ცვლილებები შევიდეს, მოცემული წესი შესაფერისი იყო იმ დროისათვის, ვინაიდან რადგანაც ფიზიკური პირები და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილეს იჩენდნენ, როდესაც არბიტრაჟზე შეთანხმებას ეხებოდა საქმე. როგორც ჩვენთვის ცნობილია ამავე პერიოდში არ არსებობდა კანონი, რომელიც დაარეგულირებდა ელექტრონული საშუალებებით განხორციელებულ ხელმოწერებს.

გიორგი კეკელიძე ბლოგპოსტში წინა პლანზე წევს ელექტრონული ხელმოწერის საკითხს და აღნიშნავს რომ: „კვალიფიციური ელ. ხელმოწერის შემთხვევაში, უფრო მეტად გარანტირებულია პირის იდენტიფიკაცია და მისი ხელმოწერის სანდოობა, რადგან საქართველოში, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებას ესაჭიროება სპეციალური პროგრამის-წამკითხველისა და ID ბარათის გამოყენება შესაბამისი ინდივიდუალური კოდის მეშვეობით. სწორედ ამიტომ, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, „ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“. ამავე კანონის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტი

განმარტებულია როგორც „ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა“; ხოლო ელექტრონული ხელმოწერა, როგორც: „ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება“<sup>25</sup>.

კანონმდებლისათვის დღევანდელი ჩანაწერი ფიზიკურ პირებთან და ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებაში იცავდა ნების გამოხატვის ნამდვილობას, თუმცა ელექტრონული ხელმოწერისთვის საჭირო პროცედურების გათვალისწინებით, ვთვლი რომ აღნიშნული პრობლემა არ უნდა იყოს დღის წესრიგში და რომ ნების გამოვლენის ნამდვილობის შემაფერხებელი სხვა გარეშე ფაქტორები შეიძლება იყოს და არა ის გარემოება, რომ მხარეებმა ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით განახორციელეს საარბიტრაჟო შეთანხმება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოში არსებულ გამოწვევებს.

არბიტრაჟის მეშვეობით დავების მოგვარების მთავარი ხიბლი ვფირობ არის მისი პროცედურის სიმარტივე, ამიტომ ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ უნდა განამტკიცოს ცვლილებამ რომელიც ეხება, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეთანხმების ელექტრონული საშუალებებით და ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით განხორციელებას.

გარდა ამისა ციფრული ხელმოწერის უპირატესობა მატერიალურ ხელმოწერასთან შედარებით შეიძლება ჩაითვალოს ის რომ, ელექტრონული ხელმოწერის შემდეგ მარტივადაა შესაძლებელი იმის შემოწმება არის თუ არა ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტში განხორციელებული რაიმე ცვლილება.<sup>26</sup>

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის“ შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ სახელმწიფო

<sup>25</sup> კეკელიძე, გიორგი, ელექტრონული(დისტანციური) არბიტრაჟის პერსპექტივა საქართველოში, ბლოგპოსტი, 17.05.2020, იხ. <http://georgianarbitrationblog.ge>

<sup>26</sup> <https://id.ge/kb/pages/viewpage.action?pageId=7635034>

უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას ამ კანონის რეგულირების სფეროში.<sup>27</sup>

სწრედ ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით ვთვლი, რომ ელექტრონული საშუალებით განხორციელებული შეთანხმება არბიტრაჟზე, რომელიც ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით მეტად საიმედოა და შეგვიძლია გავუთანაბროთ ფიზ. პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობითი სახით განხორციელებულ უშუალოდ ხელმოწერილ შეთანხმებას.

3) ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია დათქმა არბიტრაჟზე, „წერილობითი ფორმა ჩაითვლება დაცულად, თუ ხელშეკრულებაში არსებობს მითითება სხვა ისეთ დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს წერილობით საარბიტრაჟო დათქმას. მაგალითად, შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათ შორის გაფორმებული გადაზიდვის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს რომელიმე მხარის სტანდარტული პირობები, ხოლო ამ სტანდარტული პირობების ერთ-ერთი მუხლი შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას. კანონის მიხედვით, ეს ჩაითვლება წერილობითი ფორმით დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებად, „თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.“<sup>28</sup> მამასადაძე, გადაზიდვის ხელშეკრულებაში რომელიმე მხარის სტანდარტულ პირობებზე მითითებამ, სტანდარტულ პირობებში არსებული საარბიტრაჟო დათქმას, გადაზიდვის ხელშეკრულების ნაწილად უნდა გახადოს“<sup>28</sup>

---

<sup>27</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ (5927, 14.03.28), მუხლი 1.2, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლომაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>.

<sup>28</sup> კეკელიძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ.31

## 6. საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ადგილი, ენა გამოსაყენებელი სამართალი

საარბიტრაჟო შეთანხმებაში მნიშვნელოვანია მითითებულ იქნას საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ადგილი, ზემოაღნიშნული საკითხი უბრალო ფორმლობას არ წამოადგენს, ვინაიდან რადგანაც მთელი რიგი სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოყვეს ადგილის მიუთითებლობას ან არაზუსტ მითითებას.

ფაქტორები რომლებიც ცხადყოფენ საარბიტრაჟო შეთანხმებს დადების ადგილის მითითების მნიშვნელობაზე:

1) ადგილის მითითება თავისთავად გულისხმობს მხარის თანხმობას მითითებული ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ საარბიტრაჟო განხილვისას სამართლის არჩევისა, თუმცა თუ მათ არ ექნებათ მითითებული გამოსაყენებელი სამართალი, მოცემულ სიტუაციაში გამოიყენება სამართალი რომელიც არსებობს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

2) როდესაც საკითხი ეხება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას, ამ შემთხვევაშიც გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის ნორმები, რომელზედაც მხარეები შეთანხმდნენ, ადგილის მითითების მეშვეობით.

3) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ამომწურავადაა ჩამოთვლილი კანონში „არბიტრაჟის შესახებ“, სწორედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისათვის მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნას ადგილი, ვინაიდან რადგანაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, გააუქმოს არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

4) როგორც ჩვენთვის ცნობილია არბიტრაჟის ერთ-ერთ დადებით ასპექტს წარმოადგენს მისი მოქნილობა, იგულისხმება გარემოება როდესაც მხარეებს თავისუფლად ეძლევათ შესაძლებლობა აირჩიონ ადგილმდებარეობა სადაც თავად სურთ ზეპირი მოსმენები ანდა სხვა საპროცესო მოქმედებები განახორციელონ,



თუმცა ამ შემთხვევაში საპროცესო მოქმედებების ლოკაციის განსაზღვრა არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების ადგილზე ზემოქმედებას.

#### საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ენა

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ თავად განსაზღვრონ როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ენა, აგრეთვე საპროცესო მოქმედებების განხორციელების ენა, იმ შემთხვევაში თუ სახეზე არაა მხარეების მიერ გასაზღვრული ენა მაშინ აღნიშნულს ადგენენ არბიტრები, ყველა ფაქტორის და მონაწილე მხარის ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<sup>29</sup> შესაბამისად თუ ხელშეკრულების მხარეები განსხვავებული ენით მეტყველებენ მათ უნდა მიუთითონ წარმოების ენა. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, მხარეების მიერ ენის არჩევისას გათვალისწინება გარემო ფაქტორებისა, ვინაიდან რადგანაც ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ამა თუ იმ ენაზე მითითებისას მოიძებნება ისეთი არბიტრი, რომელიც მოცემული ენის მცოდნეცაა და კვალიფიციურიც თავის საქმეში.

#### საარბიტრაჟო შეთანხმებისას გამოსაყენებელი სამართალი

როდესაც საუბარია საარბიტრაჟო შეთანხმების გამოსაყენებელ სამართალზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს დიფერენციაციაზე ძირითად ხელშეკრულებაში გამოყენებულ სამართალსა და საარბიტრაჟო შეთანხმებისას გამოყენებულ სამართალს შორის. როგორც ჩვენთვის ცნობილია საარბიტრაჟო შეთანხმებაში შეიძლება გაკეთდეს დათქმა არბიტრაჟზე, თუმცა აღნიშნული თავისთავად არ

---

<sup>29</sup>საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი 29

გულისხმობს იგივე სამართლის გამოყენებას, რადგან თავისი ბუნებით არბიტრაჟზე შეთანხმება წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას და ის დამოუკიდებელია მიუხედავად ძირითადი ხელშეკრულების ბათილობისა.

თუ მხარეები სხვა რამეზე არ არიან შეთანხმებულნი, გამოსაყენებელი სამართალია არბიტრაჟის განხილვის ადგილზე მოქმედი სამართალი. თუმცა მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ სხვა ქვეყნის სამართალი ან სამართლის ნორმა ანდა სხვა ქვეყნების სამართალი და სამართლის ნორმები, რომლითაც არბიტრაჟმა უნდა იხელმძღვანელოს.

შესაძლებელია მხარეები არაპირდაპირად თანხმდებოდნენ გამოსაყენებელ სამართალზე, ეს ის შემთხვევაა როდესაც, რომელიმე მხარე საწინააღმდეგოს არ ამბობს, შესაბამისად არაპირდაპირად მიუთითებს მის თანხმობას გამოსაყენებელ სამართალზე, თუმცა მიმაჩნია, რომ სჯობს მხარეებმა აღნიშნული საკითხის კონკრეტიზირება მოახდინონ, რათა ეს საკითხი არ გახდეს სადავო და ამით არ გაჭიანურდეს საქმე.

ხაზგასასმელია კანონის 36-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმადაც „ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს“.<sup>30</sup>

---

<sup>30</sup>საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი-36(3)

### III თავი. საარბიტრაჟო შეთანხმების სუბიექტები

მხარეებად საარბიტრაჟო პროცესზე გვევლინებიან: 1) მოსარჩელე 2) მოპასუხე, მოსარჩელე-პირი რომელმაც დავა გადასცა არბიტრაჟს, მოპასუხე-პირი რომლის წინააღმდეგაცაა შეტანილი სარჩელი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არბიტრაჟის ერთ-ერთ უპირატესობად გვევლინება მისი მოქნილობა, რაშიც ვგულისხმობთ რომ მხარეებს ეძლევათ დამატებითი შესაძლებლობები, მათ შეუძლიათ გამოიყენონ უზრუნველყოფის ღონისძიებები, როგორც ჩვენთვის ცნობილია სასამართლოს მიმართვის გზით ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება საქართველოში, აგრეთვე მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ მოითხოვონ საქმის კონფიდენციალურობა და ყველა არბიტრაჟში მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი, მხარეებს შეუძლიათ დღის წესრიგში დააყენონ არბიტრთა კვალიფიკაციის საკითხი და შესაბამისი ღონისძიებები იქნას გატარებული აგრეთვე ვადები, არბიტრაჟში მაქსიმალურადაა შესაძლებელი ვადების მხარეების შესაძლებლობაზე მორგება და სხვა დამატებითი შესაძლებლობები, რომლებიც მხარეებს ეძლევათ დავის ალტერნატიული საშუალებებიდან არბიტრაჟისადმი მიმართვისას.

#### 1. ფიზიკური, იურიდიული და მესამე პირები

როდესაც ვსაუბრობთ ფიზიკურ პირებზე უნდა აღვნიშნოთ რომ ქმედუნარიანობა მათი, განახორციელონ არბიტრაჟში საპროცესო მოქმედებები იწყება 18 წლიდან, ერთ-ერთ საფუძველს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა, წარმოადგენს პირის ქმედუნარიანობა, კერძოდ თუ პირი სასამართლოს მეშვეობით დაამტკიცებს რომ იყო ქმედუნარო საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს გამოტანილი

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>31</sup> აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მხარე იყო არაუფლებამოსილი ანდა მხარდამჭერის მიმღები და მას მხარდაჭერა არ მიუღია<sup>32</sup>.

ფიზიკურ პირებთან მიმართებით კანონი სპეციფიურ დათქმას აკეთებს, კერძოდ მათ შეთანხმებისას უშუალოდ უნდა შეადგინონ იმგვარი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილი იქნება მხარეების მიერ.<sup>33</sup>

ამ კუთხით შეგვიძლია მოვიყვანოთ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე სასამართლოს უარის თქმას, საქმის ვითარება შემდეგნაირია: 2015 წლის 30 ივლისს „K“-ს წარმომადგენელმა, მიმართა სააპელაციო სასამართლოს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების თაობაზე, როგორც საქმიდან ირკვევა დადებულია სასესხო ხელშეკრულება, ხელშეკრულებაში მითითებულია დათქმა არბიტრაჟის შესახებ, ნ.ა-მ აღნიშნულ ხელშეკრულებას ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოაწერა ხელი, სწორედ პალატა აღნიშნავს, რომ: „აღნიშნული ხელშეკრულება მსესხებლის, ნ. ა.-ს მიერ ხელმოწერილი არ არის. პალატა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მსესხებელი მართლაც გაცნობილია ხსენებულ სესხის ხელშეკრულებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, კიდევ რომ წარმოდგენილი იყოს ასეთი მტკიცებულება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ნ. ა. ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს

<sup>31</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი-46

<sup>32</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი-42(2 ა.ა)

<sup>33</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი-8(8)

სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე“ რის საფუძველზეც უარი ეთქვა მოსარჩელეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე<sup>34</sup>.

### იურიდიული პირი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარბიტრაჟო საქმეში ერთ-ერთი მხარე შეიძლება იყოს იურიდიული პირი, იმისათვის რომ არბიტრაჟის პროცესში მიიღოს მონაწილეობა უნდა იყოს ქმედუნარიანი, ხოლო მისი ქმედუნარიანობა დაკავშირებულია მის რეგისტრაციასთან.

### მესამე პირები

შესაძლებელია გამოვყოთ მესამე პირები: დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე

პირველ შემთხვევაში პირს გააჩნია მოცემულ დავასთან დამოუკიდებელი მოთხოვნა და მნიშვნელოვანია, რომ ამ პირმა აღიაროს არბიტრაჟის კომპეტენციის თაობაზე, აღიარებას უთანაბრდება შესაბამის ორგანოსთან (სამოქალაქო საქმეთა საარბიტრაჟო პალატა) მიმართვა. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე, აღნიშნული პირები შეიძლება ჩართულნი იყვნენ არა იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ დამოუკიდებელი მოთხოვნა, არამედ იმიტომ რომ არბიტრაჟის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, შეიძლება იმოქმედოს მათ უფლებებზე ანდა მოვალეობებზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხება პირს.

## 2. წარმომადგენლობა

წარმომადგენლობა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არბიტრაჟში, ვინაიდან რადგანაც პირს შესაძლებელია არ გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, იმისათვის რომ არბიტრაჟში საქმე წარმართოს, შესაბამისად ვთვლი რომ გაურკვევლობის თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია

---

<sup>34</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.03.2016-ის განჩინება, საქმე №28/3594-15

კომპეტენტური წარმომადგენლის არსებობა და ამისათვის მხარემ არ უნდა დაზოგოს ფინანსური სახსრები, რადგან შესაძლებელია მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება სწორედ კვალიფიციურობის და საქმისადმი პროფესიონალიზმის საფუძველი იყოს. სწორედ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად „მხარეს უფლება აქვს, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.“

წარმომადგენელმა კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, უნდა განახორციელოს თავისი ვალდებულებები, შესაბამისადვე ვთვლი რომ, კეთილსინდისიერების საფუძველს უნდა ემყარებოდეს მის მიერ მოთხოვნილი ანაზღაურება და აუცილებელია მან არ წარმოადგინოს ისეთ საქმეში მხარე, სადაც შესაძლებელია არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. წარმომადგენელმა ყოველმხრივი ღონე უნდა იხმაროს რომ თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებები დაიცვას კანონით განსაზღვრული შემთხვევების გათვალისწინებით, შესაბამისად წარმომადგენლის რჩევები მეტად მნიშვნელოვანია და საკითხისადმი კომპეტენტურობა საქმისთვის გადამწყვეტი.

შესაძლებელია წარმომადგენელს გადაცდომა უფიქსირდებოდეს საქმის მიმდინარეობისას, ამიტომ ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე შეიძლება მას გამოეცხადოს საყვედური ანდა შესაძლოა საარბიტრაჟო ხარჯებზე იმოქმედოს მისმა გადაცდომამ და სხვა შემთხვევები რა დროსაც გადაცდომის ადეკვატურ შედეგებს იღებს წარმომადგენელი.

გთავაზობთ ერთ ერთ პრაქტიკულ მაგალითს წარმომადგენლის მომსახურებაში შემავალ ფუნქციებზე:

„იურიდიული საკონსულტაციო კომპანია LCC ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სთავაზობს წარმომადგენლობას არბიტრაჟში. შემოთავაზებული მომსახურება მოიცავს:

- ზეპირი და წერილობითი კონსულტაციების გაცემას;
- დოკუმენტაციის დამუშავებასა და შესაბამისი რეკომენდაციების/დასკვნების მომზადებას;
- საარბიტრაჟო შეთანხმების შედგენას, დავის კერძო არბიტრაჟისთვის გადაცემის თაობაზე;
- არბიტრაჟში წარსადგენი სარჩელის მომზადებას;
- ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენლობას საარბიტრაჟო განხილვის დროს;
- კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას.<sup>35</sup>

### 3. არბიტრები

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვა უნდა მიმდინარეობდეს ერთი ან რამდენიმე არბიტრის მეშვეობით, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავად დააყენონ არბიტრის კანდიდატურა, სამი არბიტრის შემთხვევაში, უკვე დანიშნული ორი არბიტრი, შეთანხმების საფუძველზე ირჩევს მესამე არბიტრს.<sup>36</sup> თუ ერთ ერთმა მხარემ არ დააყენა არბიტრის კანდიდატურა, შესაბამის ვადაში ან თუ შერჩეული ორი არბიტრი ვერ თანხმდება მესამე არბიტრზე, ამ შემთხვევაში ერთგვარად სასამართლო.<sup>37</sup>

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ არ აკეთებს იმპერატიულ ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება პირი დაინიშნოს არბიტრად, თუმცა განსაზღვრავს იმ შემთხვევებს რა შემთხვევებშიც არ შეიძლება არბიტრის კანდიდატურის განხილვა ესენია:

<sup>35</sup> <http://lcc.com.ge/>

<sup>36</sup> საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი 10

<sup>37</sup> იქვე. მუხლი 11(3)

„1)პირი არის მხარდამჭერის მიმღები ან შეზღუდულქმდუნარიანი, თუ სასამართლოს გადაყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

2) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოსამსახურე;

3) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს ნასამართლობა;

4) ან იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.“<sup>38</sup>

არბიტრის დანიშვნისას მხარეებმა ანდა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი გარემო ფაქტორები, მათ მიერ დასახულ მიზანსვე უნდა შეესაბამებოდეს გადადგული ნაბიჯები, როგორც წესი მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ სპეციფიკური მოთხოვნები არბიტრთა მიმართ, შესაბამისად მათ უნდა გააჩნდეთ კრიტერიუმები თუ რა შემთხვევებშია სასურველი ესა თუ ის არბიტრი და ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი და მეტიც სწორედ ერთ-ერთი დადებითი ელემენტი არბიტრაჟისა არის მხარეებისთვის მინიჭებული ამგვარი თავისუფლება, რაც როგორც ჩვენთვის ცნობილია სასამართლოს გზით დავის განხილვისას მხარეებს არ ეძლევათ.

არბიტრებისთვის არსებობს ეთიკის კოდექსი რომლის თანახმადაც: მაღალი სტანდარტების დამკვიდრებისათვის და არბიტრაჟისადმი სანდოობის გაჩენისთვის ეთიკის კოდექსი ადგენს გარკვეულ სტანდარტებს, შესაბამისად არბიტრებს უჩნდებათ მთელი რიგი ვალდებულებები და პასუხისმგებელნი არიან საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობაზე „საარბიტრაჟო პროცესის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისა და არბიტრაჟისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, წინამდებარე ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის წესების აღიარებულ სტანდარტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არბიტრებმა საარბიტრაჟო პროცესის დროს.

---

<sup>38</sup> იქვე. მუხლი 11(7)



მათ უნდა „უზრუნველყონ საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა, შეინარჩუნონ ნეიტრალურობა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, გაამყდავნონ ნებისმიერი ინტერესი ან ურთიერთობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მიუკერძოებლობაზე. ეთიკის კოდექსი ასევე განსაზღვრავს მხარეებთან, მათ წარმომადგენლებთან და პროცესის მონაწილე სხვა პირებთან შესაფერისი კომუნიკაციის წესებს და მოუწოდებს არბიტრებს თავიდან აიცილონ გაუმართლებელი ხარჯები.“<sup>39</sup>

სათანადო კომპეტენცია, კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ეს ის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელიც სავალდებულოა საარბიტრაჟო პროცესში მონაწილე არბიტრს გააჩნდეს.

არბიტრთა კანდიდატურის დაყენება მხარეებსაც შეუძლიათ, შესაბამის დაწესებულებისთვის არბიტრთა სიის გაგზავნით ან შესაძლებელია თავად დაწესებულებამ უზრუნველყოს არბიტრთა კანდიდატურის განსაზღვრა. დაწესებულებამ შეიძლება მიმართოს „საქართველოს არბიტრთა ასოციაციასაც.“<sup>40</sup>

იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს არბიტრის წერილობითი თანხმობა, მიიღოს მონაწილეობა როგორც არბიტრმა ამა თუ იმ საქმეში, არბიტრის სიაში ყოფნა თავისთავად არ ნიშნავს მის თანხმობას ნებისმიერი დავის გადაწყვეტისას მიიღოს მონაწილეობა საარბიტრაჟო პროცესში, გარდა ზემოაღნიშნულისა არბიტრმა თავად უნდა მიაწოდოს დაწესებულებას დეკლარაცია, რომელიც ეხება მის კეთილსინდისიერებას და მიუკერძოებლობას.<sup>41</sup>

არბიტრს შესაძლებელია უფლებამოსილება შეუწყდეს:

- 1) თავისი ინიციატივით
- 2) მხარეთა შეთანხმებით

---

<sup>39</sup> არბიტრთა ეთიკის კოდექსი, (საქართველო-საქართველოს არბიტრთა ასოციაცია, 2018), გვ.5

<sup>40</sup> საქართველოს არბიტრთა ასოციაცია, [www.gaa.ge/](http://www.gaa.ge/)

<sup>41</sup> კეკელიძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ.79

3) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით

4) საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილებით<sup>42</sup>

უნდა განვასხვავოთ უფლებამოსილების შეწყვეტის და აცილების შემთხვევები, რადგან ამ ორის შემთხვევაში განსხვავებული საპროცესო ღონისძიებები ტარდება. ზემოთჩამოთვლილი არის შემთხვევები, ვინ შეიძლება შეუჩეროს არბიტრს უფლებამოსილება ხოლო აცილების შემთხვევაში საქმე შეიძლება ეხებოდეს არბიტრის მიკერძოებულობას და არაკეთილსინდისიერებას. უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს ძირითადად წყვეტს მხარეები, ხოლო აცილების საკითხს წყდება ტრიბუნალის მიერ<sup>43</sup>. შესაბამისად ცხადი უნდა იყოს სხვაობა უფლებამოსილების შეწყვეტასა და აცილებას შორის.

---

<sup>42</sup> იქვე. გვ.108

<sup>43</sup> კეკელიძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო(რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ.109  
ციტირებულია: O Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., Arbitration in Germany: The Model Law in Practice, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 203- 208.

#### IV თავი. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა

საარბიტრაჟო პროცედურის განხილვის უმიშვნელოვანეს საუბველს სწორედ წარმოადგენს შეთანხმება, იმისათვის რომ მხარეებმა მიაღწიონ დასახულ მიზანს აუცილებელია მათი შეთანხმება იყოს ვალიდური, სხვაგვარად რომ ვთქვათ ნამდვილი. შეთანხმების ნამდვილობისთვის მხარეებმა თავიდანვე უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ელემენტები: წერილობითი ფორმის დაცვა იგულისხმება წერილობით ფორმაში შეთანხმება გაკეთებულია დათქმის თუ ცალკეული ხემშეკრულების საშუალებით, აგრეთვე სარჩელი-შესაგებლის გზით, აგრეთვე ელექტრონული საშუალებების გამოყენების გზით, აგრეთვე დაფიქსირებულია სხვა საშუალებებით, აგრეთვე ხელშეკრულებაში მითითებული დოკუმენტი, რომელი დოკუმენტიც საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მიუთითებს.<sup>44</sup>

მხარეებს პირდაპირ, კონკრეტულად უნდა ჰქონდეთ მითითებული, დავის არსებობის შემთხვევაში არბიტრაჟზე მითითება, როგორც დავის გადაჭრის ერთადერთი საშუალება, ყოველგვარი ალტერნატივების გარეშე, გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარეებმა უნდა მიუთითონ კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება და გამოსაყენებელი წესები.

მხარეებმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბონ, იმ დავათა სპექტრი, რომლებიც სურთ, რომ არბიტრაჟმა განიხილოს და შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს.

მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში უნდა მიუთითონ არბიტრაჟის განხილვის ადგილი (ქვეყანა, ქალაქი), აღნიშნული მნიშვნელოვანია რადგან ადგილის სამართალი გამოიყენება რიგ შემთხვევებში, აგრეთვე გადაწყვეტილების გაუქმებაც დაკავშირებულია საარბიტრაჟო ადგილის მითითების შესაბამისად, ნამდვილობის საკითხიც უშულოდაა დაკავშირებული იმ სამართალთან რომელიც, განისაზღვრება არბიტრაჟის განხილვის ადგილის შესაბამისად, თუ რა თქმა უნდა მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

---

<sup>44</sup>საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), მუხლი მე-8(7)

მნიშვნელოვანია მხარეები შეთანხმდნენ არბიტრთა რაოდენობაზე, რა თქმა უნდა არბიტრთა რაოდენობა პირდაპირპროპორციულია ხარჯებთან და დროსთან, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მხარეები არსებით პირობებზე იყვნენ შეთანხმებულნი.

მხარეებმა უნდა მიუთითონ წარმოების ენაზე, მნიშვნელოვანია, რომ გაითვალისწინონ პრაქტიკული საკითხები, თუ რამდენადაა შესაძლებელი მითითებული ენის გამოყენება პრაქტიკაში, შესაბამისი კვალიფიციური კადრის არსებობა და სხვა დეტალები რომლებიც მნიშვნელოვანია ენის მითითებისას.

გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმება, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა ქვეყნის ან ქვეყნების მატერიალური სამართლის გამოყენებაზე.

## 1. „ერთი შეხედვის“ სტანდარტი

სასამართლოებმა არბიტრაჟზე შეთანხმების შემოწმება შეიძლება განახორციელონ „ერთი შეხედვის“ სტანდარტით<sup>45</sup> ასევე არსებითად. „ერთი შეხედვის“ სტანდარტი გულისხმობს სასამართლოს მიერ დასტურს საქმე განხილულ იქნას არბიტრაჟში, თუმცა წინაპირობებს არბიტრაჟში საქმის განხილვისას იგი არსებითად არ შეისწავლის, სწორედ სახელწოდებაც „ერთი შეხედვა“ ცხადყოფს სასამართლოს ქმედებებს მოცემულ შემთხვევაში. სასამართლოები მოცემულ შემთხვევებში უთმობენ შეთანხმების ნამდვილობის შემოწმებას საარბიტრაჟო დაწესებულებას, ვინაიდან რადგანაც შემოწმება სასამართლოს მიერ მხარემ შესაძლებელია ბოროტად გამოიყენოს, დროის გაჭიანურების თვალსაზრისით, შესაბამისად თუ სასამართლომ ზედაპირული შესწავლით, როგორც მას უწოდებენ „ერთი შეხედვით“ ეჭვქვეშ დააყენა საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, შემოწმების უფლებამოსილებას უტოვებს არბიტრაჟს.<sup>46</sup>

---

<sup>45</sup> კეკენაძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო(რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), Prima facie იგივე „ერთი შეხედვის“ სტანდარტი, გვ. 9

<sup>46</sup> იქვე. გვ 11

მიმაჩნია, რომ სწორედ მოცემული სტანდარტით უნდა ხელმძღვანელობდნენ ქართული სასამართლოები, რადგან ამით ისინი ნდობას უცხადებენ ერთის მხრივ არბიტრაჟს და მეორეს მხრივ საზოგადოებასაც მოუწოდებენ იმავე ქმედებისკენ, შესაბამისად მნიშვნელოვანია არბიტრაჟის როლის გაზრდა და მისთვის გარკვეული უფლებამოსილებათა განხორციელების წრის გაფართოება.

## **2. არსებითი შემოწმება**

რაც შეეხება შეთანხმების ნამდვილობის არსებით შემოწმებას, პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ არსებითი შემოწმების დროს სასამართლო ამოწმებს:

1. შეთანხმების ნამდვილად არსებობა
2. დავის საგნის მიმართება არბიტრაჟთან
3. შეთანხმების ფორმის დაცვა
4. შეთანხმებაში მითითებული დავის ფარგლები
5. ბათილობა, ძალადაკარგულობა და შესრულების შეუძლებლობა.

გავრცელებული აზრის თანახმად „არსებითი შემოწმება ეფუძნება ეკონომიურობის არგუმენტს: თავიდან იქნეს აცილებული მხარეების მიერ დროის, ფულისა და სხვა რესურსების ფუჭი ხარჯვა.“<sup>47</sup>

### **2.1 შეთანხმების ნამდვილად არსებობა**

როგორც ვთქვით სასამართლო უდიდეს როლს ანიჭებს მხარეების შეთანხმების არსებობას, შესაბამისად მისთვის პირველ რიგში შესამოწმებლად სავალდებულოა დააზუსტოს მხარეთა შორის არსებული შეთანხმება და იმ შემთხვევაში თუ შეთანხმების რეკვიზიტები სრულად არაა გაწერილი ძირითად შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს მხარეთა ნების შესაბამისად.

### **2.2 დავის საგნის მიმართება არბიტრაჟთან**

როგორც ჩვენთვის ცნობილია კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ არ აკეთებს ჩამონათვალს თუ რომელი დავები არ შეიძლება იყოს განხილული არბიტრაჟის

---

<sup>47</sup> კეკენაძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო(რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ 12, ციტირებულია: Frédéric Bachand, “Does Article 8 of the Model Law Call for Full or Prima Facie Review of the Arbitral Tribunal’s Jurisdiction?“, Arbitration International, Vol. 22 Issue 3 (2006), გვ. 465.

მიერ, თუმცა თითოეული კანონი საქართველოში მოქმედი, მიუთითებს საკითხის არბიტრაჟის დაუქვემდებარეობლობის ანდა დაქვემდებარების შესახებ.<sup>48</sup> იმისათვის რომ დავა დაექვემდებაროს არბიტრაჟს მნიშვნელოვანია ორი კომპონენტი: მხარეთა თანასწორობა და კერძო ხასიათის ქონებრივი დავის არსებობა. საარბიტრაჟო ინსტიტუტის დადებით მხარეს უსვამს ხაზს სწორედ მხარეთა თანასწორობის კომპონენტი, რადგან მნიშვნელოვანია არ მოხდეს ერთი მხარის მიერ მეორე მხარეზე ზეგავლენა ან სიტუაციის გამოყენება შესაძლებლობების შესაბამისად. თუმცა ვთვლი, რომ პრაქტიკაში, ზემოაღნიშნული კომპონენტი დასახვეწია და სისრულეში მოსაყვანი, ვინაიდან რადგანაც ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ საბანკო და საფინანსო სფეროების და არბიტრაჟის ურთიერთმიმართება და რეალობა. რაც შეეხება ქონებას, აღნიშნული განმარტებულია სსკ-ის 147 მუხლში, რომლის თანახმადაც „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რომ არბიტრაჟს არ ექვემდებარება არამატერიალური ქონებრივი სიკეთესთან დაკავშირებული დავები.

### **2.3 შეთანხმების ფორმის დაცვა**

შეთანხმების ფორმის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი და განსაზღვრავს როგორც პირდაპირ შემთხვევებს წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებისა ასევე არაპირდაპირი შემთხვევები, როგორცაა სარჩელი შესაგებლის გაცვლა, ელექტრონული საშუალებებით გაკეთებული შეთანხმება დასხვა დოკუმენტები რომელთა ჩანაწერებიც ცხადყოფს მითითებას არბიტრაჟზე. ხაზგასასმელია ფაქტი რომ ბოლო დროის სასამართლო პრაქტიკა არბიტრაჟთან მიმართებაში, ცხადყოფს, რიგ

---

<sup>48</sup> იქვე. გვ.23

საკითხებთან მიმართებაშიც კი არ არსებობს ჯერ ჯერობით ერთიანი მიდგომა და რომ თითოეულ შემთხვევაში ცალკეულად, ინდივიდუალურად აფასებს სასამართლო საკითხებს.

## 2.4 შეთანხმებაში მითითებული დავის ფარგლები

მნიშვნელოვანია შემოწმდეს ემთხვევა თუ არა არსებული დავა შეთანხმებაში მითითებულ დავას, როგორც ჩემთვის ცნობილია საარბიტრაჟო პრაქტიკაში დღეს-დღეისობით ერთ-ერთ პრობლემად რჩება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები, რადგან სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ინტერპრეტაციის საშუალებით მოახდინოს განმარტება და შესაბამისად რიგი საკითხები მოაქციოს შეთანხმების ფარგლებში და რიგი საკითხები არა, სწორედ შეთანხმების ფარგლების და განსახილველი დავის შესაბამისობაში ყოფნის შემდეგაა უფლებამოსილი არბიტრაჟი განიხილოს საქმე, აღნიშნული კი გაწერილია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში, როდესაც დათქმა ხელშეკრულებაში ფართოა სასამართლოსთვისაც უფრო მარტივია ლავირება და გადაწყვეტა საკითხისა რამდენადაა შესაბამისობაში შეთანხმებაში არსებული მითითება გასახილველ დავასთან, სწორედ ამგვარ დათქმას წარმოადგენს მაგალითად შემდეგი ჩანაწერი:

„ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით, ან ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით გადაეცემა არბიტრაჟს“<sup>49</sup>. როგორც ჩანაწერიდან ვხედავთ, ამგვარი დათქმის გაკეთებით მხარეები აფართოებენ არბიტრაჟს დასაქვემდებარებელ დავათა სპექტრს, შესაბამისად განსაზღვრავენ არა მარტო ნებისმიერი დავის წარმოშობას უშუალოდ ხელშეკრულებიდან, არამედ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავათა მიმართაც.

---

<sup>49</sup> კეკენაძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო(რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ.37, ციტირებულია: Elliott Geisinger and Nathalie Voser (eds), *International Arbitration in Switzerland: A Handbook for Practitioners*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2013), გვ. 41

ჩემს მიერ გაცნობილი დათქმები როგორცაა: giac, drc და სხვანი სხადყოფს, რომ ძირითად შემთხვევაში დათქმები გაკეთებულია ფართო გაგებით, მაგრამ პრაქტიკაში მაინც ხშირად ვხვდებით პრობლემურ საკითხებს შეთანხმების ფარგლებთან მიმართებით.

თუ რატომ მესახება აღნიშნული პრობლემა და ის თუ რატომაა საჭირო არაბუნდოვანი დათქმის გაკეთება, თვალსაჩინოს ხდის ორი შემდეგი გადაწყვეტილება: ერთ-ერთ „საქმეში დავის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრება, საქმეს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, მოსარჩელე მოითხოვს რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად, შუამდგომლობის ავტორმა/მოსარჩელემმოწინააღმდეგე მხარისათვის ძირითადი დავალიანების სახით 760 682,88 აშშ დოლარისა და სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის სახით 177 960,50 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა 2015 წლის 25 მარტს.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ 2002 წლის 12 სექტემბერს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (შემდგომში - „ხელშეკრულება 2002“) მოპასუხეს მოსარჩელისთვის უნდა გაეწია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან საქართველოს ელექტროქსელებით მესამე ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებში ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურება, საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოყენების გარეშე, მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 14 მარტს მხარეთა შორის დაიდო ანაზღაურებადი მომსახურების ხელშეკრულება №--- (შემდგომში - „ხელშეკრულება 2005“), რომლის თანახმად, მოპასუხემ აიღო ვალდებულება მოსარჩელის დავალებით განეხორციელებინა საქმიანობა ვლ-500 კვ. პს. „ცენტრალნაია“-ენგური ჰესის



(„კავკასიონი“) რუსეთის უბანზე საქართველოს ტერიტორიიდან ელექტროენერჯის გადაცემის ტექნიკური პირობების ეფექტურობის გაზრდასთან დაკავშირებით, ხოლო მოსარჩელემ აიღო ვალდებულება აენაზღაურებინა გაწეული მომსახურების საფასური.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის მსვლელობის დროს სადავო გახადა საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის საკითხი, კერძოდ, მოპასუხე აცხადებდა, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა მხარეთა შორის წარმოშობილი დავის განხილვა, გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულება 2005-ში არსებული საარბიტრაჟო დათქმა უთითებდა ისეთ დავებზე, რომლებიც წარმოიშობოდა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების პერიოდში. მოპასუხის განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტასთან ერთად წყდება მისი შესრულებაც. მოპასუხე აღნიშნავდა, რომ მოსარჩელე ითხოვდა თანხის დაკისრებას უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, რაც არ იყო დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან და ატარებდა არასახელშეკრულებო მოთხოვნის ხასიათს. შესაბამისად, მოპასუხის აზრით, საარბიტრაჟო შეთანხმება აღნიშნული დავის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე მხარეთა შორის მიღწეული არ ყოფილა.

საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილა რა საკუთარი კომპეტენციის საკითხი, მოპასუხის პრეტენზია მიიჩნია უსაფუძვლოდ. კერძოდ, საარბიტრაჟო სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე გადახდევინების შესახებ წარმოადგენდა მოთხოვნას, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულება 2005-დან გამომდინარეობდა და მისი განუყოფელი ნაწილი იყო. საარბიტრაჟო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მხარეთა შეთანხმების მიხედვით, თანხები, რომლებიც მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა წინასწარი გადასახდელების სახით, ხელშეკრულება 2002-ის შესაბამისად, მის შეწყვეტასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა ხელშეკრულება 2005-ით გათვალისწინებულ

ავანსს. აღნიშნული სახსრები გამოიყენებოდა ხელშეკრულება 2005-ით გაწეული მომსახურების ანაზღაურებისათვის.

საკასაციო პალატა მოცემულ შემთხვევაში მსჯელობს მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზიაზე, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლო გასცდა მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებს, გამომდინარე იქედან, რომ საარბიტრაჟო დათქმის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლო იხილავს ისეთ დავებს, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელე ითხოვდა თანხის დაკისრებას უსაფუძვლო გამდიდრების წესებით, რაც არ იყო დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან და ატარებდა არასახელშეკრულებო ხასიათს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერც წერილობით და ვერც ზეპირი ახსნა-განმარტებების დროს საკასაციო პალატას ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით, ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების წესებით არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას, არ განეკუთვნება ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილ სადავო საკითხთა წრეს და შესაბამისად, არ ექცევა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საარბიტრაჟო დათქმის მიმართ გამოყენებული რუსეთის ფედერაციის მატერიალური სამართლის მიხედვით, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას და ექცევა ხელშეკრულების შესრულების პერიოდში წარმოშობილი დავების კატეგორიაში. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს ჰქონდა კომპეტენცია აღნიშნული დავის განსახილველად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დავის მიმართ საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების შემთხვევაშიც აუთვისებელი ავანსის დაბრუნების მოთხოვნა მიჩნეული იქნებოდა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებში წარმოშობილად.

საბოლოოდ სსს „---ს“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დააკმაყოფილა<sup>50</sup>

როგორც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან ჩანს სასამართლომ შეთანხმების ფარგლები დააზუსტა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ განსახილველი დავა ექცეოდა შეთანხმების ფარგლებში, თუმცა გადაწყვეტილებას რომელსც ახლა მოვიყვანთ სასამართლოს აზრით შეთანხმების ფარგლებს სცდება დავა.

მოცემული საქმეც განხილული არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, საქმე ეხება თანხის დაკისრებას და მოსარჩელე ითხოვს „ლონდონში საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე, მხარეთა შორის, 2014 წლის 22 აპრილს, გაფორმდა მიწოდების ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება; რომლითაც გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა 8.000.000.00 (რვა მილიონი) კგ შაქარი. გამყიდველმა მყიდველს რეალურად 5.456.000.15 კგ შაქარი მიაწოდა, ხოლო დანარჩენი 2.534.000.00 კგ არ მიუწოდებია. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ საქონლის ფასსა და მიწოდების განრიგზე, ასევე, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის თითოეული მოცულობის საფასურის გადახდაზე, კერძოდ, ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით: „საქონლის ღირებულების გადახდა ხდება მიწოდების მომენტიდან (მაგრამ არა უგვიანეს)

---

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.02.2017 წლის გადაწყვეტილება: საქმე N ა-3151-შ-83-2016

თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში“. მყიდველს არ გადაუხდია მიუღებელი საქონლის ღირებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების არსებითი განხილვისა და გადახედვის კომპეტენციის გარეშე, სასამართლოს კვლევისა და მსჯელობის ცენტრალური ნაწილია მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის სახელწოდებაცაა „არბიტრაჟი“. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია დასახელებული მუხლის შინაარსის მოხმობა: „5.1. ყველა სადავო საკითხს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ, ურთიერთმოლაპარაკების გზით. 5.2. შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი: ლონდონი.“

ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 (1) მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია ერთ-ერთი საფუძველი, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შეიძლება უარი ეთქვას იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მხარე უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საკასაციო სასამართლო, განსახილველ შემთხვევაში, ყურადღებას გაამახვილებს, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ მოთხოვნილი ერთპიროვნული არბიტრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების უარყოფა ეფუძნება კონვენციის ზემოხსენებულ ნორმას, რადგან უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველია, საკასაციო სასამართლოს მიერ მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5

მუხლის, რომლის სახელწოდებაა - „არბიტრაჟი“ - შინაარსის, როგორც მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების, დადგენა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტდნენ ურთიერთმოპალარაკების გზით, ხოლო შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა ინგლისის სამართლის გამოყენებით. აღნიშნული მუხლის სათაურისა და მისი შინაარსის ერთობლივი გაანალიზებითა და „ვიწრო“ ინტერპრეტაციით, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მომავალში წარმოშობილ დავაზე, მხარეებმა გაითვალისწინეს დათქმა, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებდა დამატებით შეთანხმებას და დაზუსტებას და არ იყო დაკონკრეტებული, ზოგადად, ინგლისური სამართლის გამოყენების გარდა, რომელიმე არბიტრაჟის, ინსტიტუციური თუ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილი ე.წ. ad-hoc არბიტრის ან სასამართლოს მიერ მოხდებოდა საქმის განხილვა. ინგლისის სამართლის გამოყენებით

პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლის სათაური „არბიტრაჟი“ საარბიტრაჟო განხილვას ნიშნავს, მხოლოდ იმას შეიძლება ადასტურებდეს, რომ მხარეებმა გაითვალისწინეს საარბიტრაჟო დათქმა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით და არ შეთანხმებულან კონკრეტულ არბიტრაჟზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელის შუამდგომლობა ლონდონში საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე არ დაკმაყოფილდა.<sup>51</sup>

მოყვანილი ორი გადაწყვეტილებით, შევეცადე თვალსაჩინო გამეხადა შეთანხმებაში არსებული თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, რადგან ერთ შემთხვევაში მხარეებს საარბიტრაჟო შეთანხმებაში ეწერათ რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავას განიხილავდა არბიტრაჟი, დავა კი

---

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.08.2016 წლის გადაწყვეტილება: საქმე N ა-887-შ-21-2016

წარმოიშვა უსაფუძვლოდ გამდიდრების საკითხში და სასამართლომ ჩათვალა რომ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნება დაკავშირებული იყო შესრულებასთან, ხოლო მეორე საქმეში ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად ზიანის ანაზრაურების ნაწილში ჩათვალა რომ აღნიშნული იყო მეორადი მოთხოვნა და შესაბამისად დაკავშირებული არ იყო არბიტრაჟზე შეთანხმებასთან. შესაბამისად სასამართლო მოქმედებს ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე და ვთვლი, იმისათვის რომ მხარემ არ დახარჯოს დრო ენერჯია და სახსრები მნიშვნელოვანია თავიდანვე ცხადად და მაქსიმალური სიზუსტით ჩამოაყალიბოს არბიტრაჟზე შეთანხმების ფარგლები, რაც ყოველ ინდივიდუალური შემთხვევაა და ზოგადი ფორმულის შექმნა გამიჭირდება. მოცემულ შემთხვევაში, ალბათ მარტივი მისახვედრია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კვალიფიციური წარმომადგენლის ყოლა, ის ვინც მთელ ზემოაღნიშნულ დეტალებს გაითვალისწინება და არა მხოლოდ, მხარესაც გასაგებ ენაზე მიაწვდის აღნიშნულ ინფორმაციას.

## **2.5 ბათილობა, ძალადაკარგულობა და შესრულების შეუძლებლობა**

მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ არსებითი შემოწმებისას სასამართლო ახდენს ბათილობის ძალადაკარგულობის და შესრულების შეუძლებლობის საფუძველებს არსებობის შესაძლებლობებს.

ბათილობის საფუძველს იძლევა ისეთი შეთანხმება სადაც იკვეთება გამოხატულ ნებასთან შეუსაბამოება, აგრეთვე შემთხვევები როდესაც შეთანხმება უკანონოა ანდა მოტყუებით არის დადებული, აგრეთვე შემთხვევები როდესაც პირი შეთანხმების დადებისას იყო ქმედუუნარო ანდა არაუფლებამოსილი, აგრეთვე ბათილად ითვლება შეთანხმება, რომლებიც ალტერნატიულ შესაძლებლობებს ითვალისწინების დავის გადაჭრის საშუალებებისა.<sup>52</sup>

---

<sup>52</sup> კეკენაძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე. გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ. 48

„ძალადაკარგული საარბიტრაჟო შეთანხმება არის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც გარკვეული დროის პერიოდში იყო ნამდვილი, მაგრამ შემდგომ დაკარგა სამართლებრივი ძალა.“<sup>53</sup> აგრეთვე ძალადაკარგულია იმგვარი შეთანხმება, როდესაც იგივე საქმეზე უკვე არსებობს ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებული უფლების უარყოფა მაგალითად როგორცაა, არბიტრაჟის მიმართვის დაუშვებლობა, ძალადაკარგული შეთანხმებაა.<sup>54</sup>

საარბიტრაჟო შეთანხმების შეუსრულების შეუძლებლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც არსებობს ისეთი წინაღობა, რომელიც იწვევს ობიექტურად შეთანხმების შეუსრულებლობას, მაგ. თუ მითითებული საარბიტრაჟო დაწესებულება ლიკვიდურია.<sup>55</sup>

---

<sup>53</sup> ჭკუასელი, რუსუდანი, თამარ მორჩილაძე და სხვები, ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, (საქართველო-გამოცემულია „კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს მიერ“ 2013, გვ. 70.

<sup>54</sup> კეკენაძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე, გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ. 55

<sup>55</sup> იქვე. გვ. 56

## V თავი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

„საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება არის კერძო ავტონომიის შედეგად გამართული საარბიტრაჟო პროცესის შედეგის, „კერძო აქტის“-საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯარო-სამართლებრივი აღიარება“<sup>56</sup>.

სწორედ მაკონტროლებელი ფუნქცია სახელმწიფოს ერთ-ერთმა შტომ სასამართლომ შეითავსა. ხშირად ცნობისა და აღსრულებას ერთ ქმედებად აღიქვამენ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ შინაარსობრივი დანიშნულებით ორი განსხვავებული ძალაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. ცნობა თავის მხრივ წინარე ეტაპია აღსრულებისა, თუ არ იქნება ცნობა ვერ იქნება გადაწყვეტილება აღსრულებადი. გადაწყვეტილების ცნობა გულისხმობს მისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას<sup>57</sup>, ცნობა-აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია უფლებამოსილმა პირმა, სასამართლო განსჯადობის შესაბამისად და საჭირო დოკუმენტებთან ერთად განცხადებით მიმართოს სასამართლოს, საქართველოში ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავს სააპელაციო სასამართლო, ხოლო უცხო ქვეყანაში მიღებულ გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისას ერთვება საქართველოს უზენაესი სასამართლო.<sup>58</sup> მხარემ თან უნდა წარადგინოს, საარბიტრაჟო შეთანხმება და გადაწყვეტილება(დედანი ან ასლი).

როგორც ცნობილია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა დგინდება განცხადების არსებითად განხილვის ეტაპზე, შესაბამისად მანამდე ზედაპირულად უყურებს სასამართლო არის თუ არა წარმდგენილი დოკუმენტი შეთანხმებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეთანხმების ბათილობა თავისთავად გულისხმობს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმას.<sup>59</sup>

---

<sup>56</sup> ტყემალაძე, სოფიო,ლიანა ქარცივაძე,თეონა ჟიჟიაშვილი და სხვები,გზამკვლევი არბიტრაჟში(საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის),(თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017) გვ.93 ციტირებულია:Julian D. M. Lew , Loukas A. Mistelis , et al., Comparative International Commercial Arbitration, (Kluwer Law International; 2003) გვ. 689, §26-6

<sup>57</sup> იქვე. გვ.94.

<sup>58</sup> იქვე. გვ.97.

<sup>59</sup> იქვე. გვ.100.



მსურს გამოვთქვა მოსაზრება სასამართლოს მიერ მხარეთა შეთანხმების არსებით შემოწმებასთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნეთ სასამართლო მხარეთა შეთანხმებას განიხილავს არსებითად, პრაქტიკაც ცხადყოფს ამ უკანასკნელს, თუმცა არიან ქვეყნები მაგალითად შვედეთი<sup>60</sup> გერმანია, რომელთაც უარი თქვეს სასამართლოს მიერ შეთანხმების არსებით განხილვაზე, ვთვლი რომ საქართველოც ამ გზას უნდა დაადგეს, ვგულისხმობ შემთხვევას როდესაც მხარის მიერ შეტანილ განცხადებას თან უნდა ახლდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხოლო საარბიტრაჟო შეთანხმების წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სავალდებულო თუ მხარე ექვეყნებ დააყენებს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის საკითხს. მოდელურ კანონში ზემოაღნიშნული ცვლილება შევიდა 2006 წელს<sup>61</sup> კერძოდ მოდელური კანონის 35 მუხლის 2 ნაწილის<sup>62</sup> თანახმად სასამართლოში ცნობა-აღსრულებისთვის მხარემ უნდა წარადგინოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება მისი დედანი ან ასლი რომელიც დამოწმებულია. სწორედ 2006 წლამდე სასამართლოში ცნობა აღსრულებისთვის პირს უნდა წარედგინა როგორც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმება.<sup>63</sup>

ვფიქრობ ზემოაღნიშნული ცვლილება საქართველოში იქნება ერთის მხრივ სასამართლოების მხრიდან მეტი ნდობის გამოცხადება არბიტრაჟისადმი და მეორეს მხრივ თავად სასამართლოებიც დაზოგავენ დროს და ენერჯიას.

---

<sup>60</sup> შვედეთის კანონის თანახმად (მუხლი 56) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის საკმარისია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და არ არსი შესაბამისად წარსადგენ დოკუმენტთა სიაში საარბიტრაჟო შეთანხმების წარდგენის პირობა. ციტირებულია: „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“, გიორგი ცერცვაძე,

<sup>61</sup> ტყემალაძე, სოფიო,ლიანა ქარცივაძე,თეონა ჟიჟიაშვილი და სხვები,გზამკვლევი არბიტრაჟში(საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის),(თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017),გვ. 102.

<sup>62</sup> Article 35. Recognition and enforcement

(1) An arbitral award, irrespective of the country in which it was made, shall be recognized as binding and, upon application in writing to the Part One. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 21 competent court, shall be enforced subject to the provisions of this article and of article 36.

(2) The party relying on an award or applying for its enforcement shall supply the original award or a copy thereof. If the award is not made in an official language of this State, the court may request the party to supply a translation thereof into such language

<sup>63</sup> იხ. 1985 და 2006 წლის რედაქციები „ UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration“ <https://www.uncitral.org/pdf/english/clout/MAL-digest-2012-e.pdf>

როგოც ზემოთ აღვნიშნეთ განცხადების წარდგენის ეტაპზე სასამართლო ამოწმებს მხარის: უფლებამოსილებას, სათანადო დოკუმენტების არსებობას და შესაბამისი განსჯადობა<sup>64</sup>, თუმცა მანამდე სასამართლო ამოწმებს: ჩაბარდა თუ არა მხარეს სამართლებრივად სწორად მასალები, არის თუ არა მოწინააღმდეგ მხარის განცხადება გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების უარის თქმის შესახებ.<sup>65</sup>

ცნობა-აღსრულების პროცესი სასამართლოში შეიძლება შეჩერებულ იქნას თუ გასული არაა ვადა გადაწყვეტილების გაუქმების, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად 90 დღეა მიჩნეული, სწორედ 2015 წლის 18 მარტს მხარემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ საქმეში ორ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ საქმეში არ დგინდებოდა მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი და მეორე ცნობა-აღსრულებისთვის გასული უნდა ყოფილიყო 90 დღიანი ვადა, სწორედ ზემოაღნიშნული საფუძვლებით სააპელაციო სასამართლომ უარი უთხა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.<sup>66</sup>

იმ შემთხვევაში თუ ცნობა-აღსრულების დაკმაყოფილების მიუხედავად, მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მასზე ხორციელდება იძულებით აღსრულება.

.

### **დასკვნა:**

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა სვლის შესაბამისად არბიტრაჟი ცდილობს საკუთარი ადგილი დაიკავოს, დავების მოგვარების სივრცეში. ნაშრომში ვეცადე გადმომეცა ის საკვანძო, საპრობლემო საკითხები,

---

<sup>64</sup> ტყემალაძე, სოფიო,ლიანა ქარცივაძე,თეონა ჟიჟიაშვილი და სხვები,გზამკვლევი არბიტრაჟში(საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის),(თბილისი-„არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017), გვ.97.

<sup>65</sup> იქვე. გვ.103.

<sup>66</sup> სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინება:საქმე №28/998-15

რომლებიც არბიტრაჟის განვითარებას ხელს უშლის და რომლის გამოსწორებითაც თავისთავად იქნება საზოგადოებაში ნდობის უფრო მაღალი ხარისხი ვიდრე ეს ახლათ.

ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებზე და სასამართლო გადაწყვეტილებების მეშვეობით, ერთის მხრივ ვეცადე დამენახებინა არსებული არაერთგაროვანი მიდგომები სასამართლოების მხრიდან და მეორეს მხრივ მოცემული გადაწყვეტილებების შედარებით, შევეცადე დამენახებინა საარბიტრაჟო შეთანხმების ბუნდოვანი საზღვრების შედეგები მხარეთათვის. გარდა აღნიშნული საკითხისა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ ქვეყანა დღეს-დღეისობით დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რადგან მსოფლიო ებრძვის covid-19 პანდემიას, იმისათვის რომ რეგულაციების მოხსნის შემდეგ ქვეყანაში არ დაიწყოს იმგვარი კრიზისი, რომელიც საბოლოოდ ხალხის უსაზღვრო გაღარიბებას და ქვეყნის დაშლას გამოიწვევს, განსაკუთრებული როლი ენიჭება დისტანციური მუშაობის შესაძლებლობას და როგორც თემიდან ირკვევა განსხვავებული მიდგომაა შემოთავაზებული. შევეცადე ფიზიკური პირები, იურიდიული პირები და ადმინისტრაციული ორგანო ერთი რეგულაციის ქვეშ მომექციათ, ელექტრონული დოკუმენტებისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება საარბიტრაჟო შეთანხმებას. მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ჩემს მიერ შემოთავაზებული რეგულირება შეთანხმების არსებითად განხილვის შემთხვევაზე, სწორედ განსხვავებული მოწესრიგების შეთავაზება არ მომხდარა ისე, რომ ეს გამოცდილი არ ყოფილიყო სხვა ქვეყნებში და შესაბამისად მოვიყვანე მაგალითები მოდელური კანონიდან, რომელშიც 2006 წელს შევიდა ცვლილება, რომელიც ნაშრომშია ასახული და აგრეთვე მაგალითისათვის და თვალსაჩინოებისთვის მოყვანილი არის შვედეთის და გერმანიის ქვეყნები, სადაც კანონში მითითებულია შემთხვევა რომლის თანახმადაც, სასამართლო მხარეების მიერ შეთანხმების ნამდვილობას მხოლოდ მას შემდეგ შეამოწმებს თუ ამის სურვილს მხარე გამოთქვამს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით, შესაბამისად მხარეს გადაწყვეტილების

ცნობა-აღსრულებისთვის აღარ სჭირდება სასამართლოს დოკუმენტის სახით წარუდგინოს როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აგრეთვე მხარეების შეთანხმება არბიტრაჟზე, რადგან თუ მხარე ეჭვის ქვეშ არ აყენებს შეთანხმების ნამდვილობის საკითხს შესაბამისად სასამართლომ აღარ უნდა დაკარგოს იმის განხილვაში დრო, რაც მხარეთათვის სულაც არ წარმოადგენს დავის საგანს.

ვფიქრობ ქვეყანა განვითარების გზაზე სასიკეთო ნაბიჯებს გადადგამს არბიტრაჟის განვითარებით და სწორედ მისი შედეგები, როგორცაა: სისწრაფე, შედეგის დროული დადგომა, მხარეებზე ორიენტირებული პროცესი, კონფიდენციალურობის დაცვა, ერთ საფეხურიანი სისტემა, სასამართლოებში საქმეთა რაოდენობის შემცირება, ინვესტორებისთვის უსაფრთხო პლატფორმის არსებობა, ეს ის მნიშვნელოვანი სიკეთეებია რომელიც თან სდევს არბიტრაჟს და შესაბამისად აქტუალურსაც ხდის და რომელიც ვფიქრობ კვლევის საგანი აუცილებლად უნდა გამხდარიყო. ვთვლი, რომ არბიტრაჟს წინ კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობა და შესაბამისად სირთულის გადალახვა მოუწევს მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია ქვეყანა დაადგეს იმ ევროპული განვითარების გზას, რომელიც მიზნად აქვს დასახული. განვითარების ეტაპები და შესაბამისად სირთულეები განვლო ამერიკამ, ევროპამ და დღეს-დღეისობით ჩამოაყალიბეს მძლავრი, სანდო, მოქნილი ინსტიტუტი არბიტრაჟის სახით. სწორედ ბიზნესს ასოციაციები და სავაჭრო პალატები რეკომენდაციას უწევენ დავების ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ქვეყნებში.

## **ბიბლიოგრაფია:**

### ***წიგნები, სამეცნიერო ნაშრომები***

- ანდლულაძე, ქეთევანი, 2013, საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა, სასემინარო ნაშრომი.

- თათბერიძე, გიორგი. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, (თბილისი - ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი 2017)
  - ინჯია, ბექა და ნათია ლაპიაშვილი. არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი. (საქართველო: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016), იხ. [http://www.library.court.ge/upload/glossary-final\\_23012017.pdf](http://www.library.court.ge/upload/glossary-final_23012017.pdf)
  - კეკელიძე, გიორგი და სოფიო ტყემალაძე. გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) მოსამართლეებისთვის, (თბილისი - „არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017).
  - სტივენ. მ. ოსტერმილერი და დილერ რ. სვენსორი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, (თბილისი: მერიდიანი 2014).
  - ტყემალაძე, სოფიო, ლიანა ქარცივაძე, თეონა ჟიჟიაშვილი და სხვები. გზამკვლევი არბიტრაჟში (საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის), (თბილისი - „არბიტრაჟის ინიციატივა-საქართველო“ 2017)
  - ტყემალაძე, სოფიო, მარიამ კობალაძე და სხვები. არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, (საქართველო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი 2018)
  - ფიცხელაური, ნიკოლოზი. 2015. „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი.
  - ცერცვაძე გ., 2008, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი.
  - ჭკუასელი, რუსუდანი, თამარ მორჩილაძე და სხვები, ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, (საქართველო-გამომცემულია „კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს მიერ“ 2013.
- 
- Blechman M. D., 2011, Assessment of ADR in Georgia, East West Management Institute. <http://www.ewmi-jilep.org/images/stories/books/assessment-of-adr-in-georgia.pdf>
  - UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration, 1985 და 2006 წლის რედაქციები „ <https://www.uncitral.org/pdf/english/clout/MAL-digest-2012-e.pdf>

### *სასამართლო გადაწყვეტილებები*

- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინება:საქმე №28/998-15
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.08.2016 წლის გადაწყვეტილება: საქმე N ა-887-შ-21-2016
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.02.2017 წლის გადაწყვეტილება: საქმე N ა-3151-შ-83-2016
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.03.2016-ის განჩინება, საქმე №28/3594-15
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება, საქმე N28/4905-16
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 თებერვლის განჩინება,საქმე Nას-1528-1534-2011.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება, საქმე №28/3055-11

### *კანონები*

- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>.
- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997),საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>
- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 26.06.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>
- საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი,ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ (5927, 14.03.28), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლომაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>.
- არბიტრთა ეთიკის კოდექსი,(საქართველო-საქართველოს არბიტრთა ასოციაცია,2018)

### *ინტერნეტ საიტები*

- კეკენაძე, გიორგი, ელექტრონული(დისტანციური) არბიტრაჟის პერსპექტივა საქართველოში, ბლოგპოსტი, 17.05.2020, იხ.<http://georgianarbitrationblog.ge> (15.06.2020)
- <https://id.ge/kb/pages/viewpage.action?pageId=7635034> (26.05.2020)
- <http://lcc.com.ge/> (25.03.2020)
- Giac-საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი. <http://giac.ge/> (10.04.2020)
- DRC-დავების განმხილველი ცენტრი, <http://drc.ge/> (10.04.2020)
- საქართველოს არბიტრთა ასოციაცია, [www.gaa.ge/](http://www.gaa.ge/) (10.04.2020)